

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9(71) 2014 წ. 1-15 მაისი ფასი 50 თეთრი

## 6 მაისი — გიორგობა



**უშვილოთა და ყრმათა სასწაულმოქმედი მფარველი — სარკის წმინდა გიორგი**

(ვრცლად მასალა იხილეთ მე-7 გვერდზე)

## 14 მაისი — თამარობა



**თამარ!**

რა ტკბილი არიან სასასა ჩემსა სიტყვანი ჩემნი – ოდეს კრძალვით ვახსენებ შენს გვირგვინოსანს სახელს, **ჰოი, თამარ!**

გაზაფხულს ესწორე და ვარდებში განეწესე, ყირმიზის იაგუნდის გაღიმებით სამშობლო განინათე!

შენი სახე – საქართველოს სანთელია, თვალმშვენიერო!

ვაი მე! ვაი მე! საქართველოსთვის მხიარული დღე ვერ მიპოვნია, შენც უდაბნოს ვარსკვლავივით გაიელვე ლურჯ უფსკრულში და ვგოდებთ, რომ კვლავ ვერ შევესწრებით სხივთა დღესასწაულს...

ჩვენ ვიცით, რომ ორჯერ ვარსკვლავი არ გაგვინათებს! – და კვლავ შეგნატრით, გაუმეორებელო მზევ, გაზაფხულის ღელის ყვავილო!

აჰა, სამშობლო ჩემი, როგორც ანგელოსი სუსტფრთებიანი ,უიმედოდ აწყდება წყვდიადს, მაგრამ შენი შორიელი სახე თეთრვარდიან ბრწყინვალებით უნათებს აღთქმულს გზაბილიკს!

მოუვალ გზისკენ წასულან სამშობლოს ვარსკვლავები, ბრწყინვა და შარავანდედი შეახუნდა საქართველოს მზეს... არ გაიშალა ჩვენთვის სხივთა მარაო და დღეს მტრის მშვილდოსნისგან დაკოდილი ქართლოსიანი სასოებით მხოლოდ შენ შემოგძახის თამარ!

**ჰოი, თამარ!**

ჰყვავის და ჭკნება საუკუნე; ჰყვავის მწუხრი და განთიადი, ხოლო სახე შენი ჰგიებს, დაუმჭკნარო, ღიმილის ელვით ოქროცურვილო...

საუკუნეთა ბინდში, მხოლოდ შენ გპოვა ერის სალამურმა, მხოლოდ შენ მოგკრა თვალი საქართველოს დედამ! და გიხმობთ შველად **თამარ! ჰოი, თამარ! – იმეფე იავარ იქმნა!**

მეც ძაძით შევმოსე გული; მე ღამის სიჩუმეში ვარ – ღამეში ჩამარხული და სიჩუმით ვახსენებ შენს სახელს. მე არ მაგიჟებს დროშების ჟღრიალი და შენი სახელის ხსენება საგმირო სიმღერაში, მე მხოლოდ ჩუმად გლოცულობ შენ!

მთვარის ნაპერწკლებით და ოქროს ძაფებით შენს მზიურს სახეს შავ ნისლებში ვქარგავ, **ჰოი თამარ!**

მე მიხარიან, რომ საქართველო შენის სახელით შეიმოსა, მე მიხარიან რომ შენ ედედოფლე მას – უკვდავი მშვენიერება და სიხარული! – და კვლავ თაყვანსა გცემ, **თამარ! შენით ჰსუნთქავს საქართველო!**

გულს ველარ შემიზარავს ჩემს წინაშე აღმართული შავი აჩრდილი სიკვდილისა, უკვდავია ერი ჩემი, სანამ უკვდავობს თვალშეუდგამი შენი სახე, – უკვდავია, რადგანაც შენით უჭკნობ მშვენიერებას ეზიარა.

**ჰოი, თამარ!..**

*გიორგი ლეონიძე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №26

16 აპრილი 2014 წელი — საგარეჯო

**2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიისთვის (აგიტაციისთვის) შენობა-ნაგებობის გამოყოფისა და საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ.**

**თანახმად „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ასევე „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45 –ე მუხლის მე–9 პუნქტისა და ამავე კანონის 46–ე მუხლის მე–2 და მე–4 პუნქტებისა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ**

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) გამოყოფილ იქნეს ქ.საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქ№15–ში მდებარე შენობის დარბაზი და გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, საარჩევნო სუბიექტებისათვის ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის.

2. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) კულტ–სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო–აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

*დასასრული მე-2 გვერდზე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# განკარგულება №26

**დასასრული**

გ)სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა–ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა– ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე–სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებული კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ–მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა.

3. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მის: ქ. საგარეჯო დ. აღმაშენებლის ქ. 9) სასამართლოს (მის: ქ. საგარეჯო, ნ. ფიროსმანის ქ. 7) პროკურატურის (მის: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი 110), სამხედრო შენაერთებისა (მის: სოფელი მუხრანის სამხედრო ბაზა; სოფელ პალდოს სამხედრო ბაზა) და პოლიციის (მის: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი 110) შენობების ინტერიერისა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სიღნაღი ცოტნე დადიანის ქ. 15).

*პაატა ბუზარიაშვილი,*

***საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი***

**ჩვენი „მექანიზატორი“**

# სერვის-ცენტრებს შორის პირველობს


გია მარხვაშვილი

**შპს** „მექანიზატორის“ საგარეჯოს მექანიზაციის სერვის-ცენტრი, რომლის დირექტორი გია (გიორგი) მარხვაშვილია, 2009 წლის მარტიდან ემსახურება საგარეჯოს, მეზობელი და სხვა მუნიციპალიტეტების მოსახლეობას. გასულ წელს სერვის ცენტრის მექანიზატორებმა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე10 ათასი ჰექტარი დაყამირებული, წლების განმავლობაში პატრონისგან უსახსრობის გამო მიტოვებული მიწის ფართობი მოხნეს, დაამუშავეს. ქვეყნის მთავრობის მიერ 2013 წელს შემუშავებულმა და განხორციელებულმა საგაზაფხულო პროგრამამ ბევრ საგარეჯოელ მცირემიწიან ფერმერსაც მისცა მიწის დამუშავებისკენ მიბრუნების საშუალება. პირველად თითქოს უნდობლობით, დაბნეულად შეხვდნენ ისინი პროგრამის შინაარსს, მაგრამ როცა სერვის-ცენტრის ხელმძღვანელის, მისი მექანიზატორების საქმიანი და ერთგული თანადგომაც ნახეს, ამ პროგრამის განხორციელებისთვის თავად მექანიზატორებიდან იწყებდნენ მადლობის გამოხატვას,სამადლობელი სიტყვების თქმას. მადლიერების გამოხატვა ყოველთვის გვიჭირს ადამიანებს, მაგრამ სერვის-ცენტრის ხელმძღვანელობამ და მექანიზატორებმა ეს მართლაც დაიმსახურეს, დაიმსახურეს არცთუ ისე იოლად. ადვილი არ იყო ერთი ნაკვეთიდან მეორეში გადაადგილება, იმ ნაკვეთის დამუშავება, სადაც გუთანს არასოდეს გაუვლია, სადაც სათიბი და საძოვარი იყო ათეული წლების განმავლობაში – რა ექნა გლეხს, უსახსრობის გამო იქ ტექნიკა ვერ შეჰყავდა. საგარეჯოს მექანიზაციის სერვის-ცენტრის თანამშრომლებს კი არც გაჭირვებიათ (თუმცა ახლა ადვილია ამის თქმა ჩვენთვის) გადაადგილება, იმ სამუშაოების ჩატარება, რომელიც უჩვეულოდ შეიძლება მიიჩნიოს სწორედ მსოფლიოში ისეთმა სახელგანთქმულმა სოფლის მეურნეობის ტექნიკის ფირმებმა, როგორიცაა „ჯონდირი“ და „ნიუ ჰოლანდი“.

– ყველაზე უახლოესი მინდორი საგარეჯოდან 15 კილომეტრშია, ხოლო ჩვენი მექანიზატორების სამოქმედო არეალის დიამეტრი გომბორიდან უდაბნომდე 100 კილომეტრია. ჩვენი მექანიზატორები დაწყებული მანავიდან, მთიანი სოფლების, უდაბნოს ჩათვლით ვემსახურებით მოსახლეობას, – მეუბნება სერვის-ცენტრის დირექტორი გია მარხვაშვილი, – მიმდინარე წლის გაზაფხულზეც ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულმა პროგრამამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში. სიმართლე გითხრათ, წელს უფრო რთული იქნებოდა ამ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება, რადგან 0,5 ჰა-დან დაწყებული ის მცირე ფართობი, რომელიც ჩვენს მექანიზატორებს უნდა დაემუშავებინათ გაფანტული იყო და გადაადგილებაც უფრო ხშირად გვიხდებოდა, მაგრამ... მექანიზატორების მონდომებამ ყველანაირი სირთულე დაგვაძლევინა – ჩვენი სერვის-ცენტრის მექანიზატორებმა 1400 ჰა მიწის ფართობის მოხვნა შეძლესო.ჩვენ ადგილზე ვახდენდით საჭირო საწვავის მიწოდებას, ადგილზევე ვახდენდით ტექნიკისთვის მწყობრიდან გამოსული ნაწილის შეცვლას, მოცდენა და გაცდენა ჩვენ არც ერთი წუთი არ გვქონია. სიმართლე გითხრათ, იყო მადლობები თავად მოსახლეობიდან, მაგრამ ჩვენი მექანიზატორები მადლობისთვის არ აკეთებენ თავიანთ საქმეს. ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან, ხელს უწყობს ის ტექნიკაც, რომელიც ჩვენს სერვის-ცენტრს აქვს. ჩვენ მართლაც სანაქებო ტექნიკა გვაქვს. მაგალითისთვის დაგისახელებთ ვენახის დასამუშავებელ „ჩიზელის“ ტიპის სახნავს, რომელიც სიღრმეში ვერტიკალურად ამუშავებს ნიადაგს, ხელს უწყობს ვაზის ძირების ამ სახით გაფხვიერებას ვაზის ფესვების შემდგომი განვითარებისათვის. მოგეხსენებათ, მიწის ზედაპირის 10 სმ-ის სიღრმეში ბუნებრივად განოყიერებას 100 წელი სჭირდება. როცა ნიადაგის დამუშავებისას ბელტის ბელტზედა გადაწვენა ხდება, მაშინ მიწის ხელოვნური განაყოფიერების აუცილებლობა დგება დღის წესრიგში. „ჩიზელის“ ტიპის სახნავი კი ისე აკეთებს ვერტიკალური ფრეზით ზემოთ აღნიშნულ ოპერაციას, რომ რაიმე წუნის შეტანა დაუშვებელია.

ჩვენმა მექანიზატორებმა კარგა ხანია დაამთავრეს ხვნა, ახლა ითესება სიმინდი, მზესუმზირა. მალე ქერიც „გაიჭრება“. საქმეს რა გამოლევს სოფლის მეურნეობაში?! – მეუბნება სერვის-ცენტრის დირექტორი და იქვე მოფუსფუსე მექანიზატორებს რაღაც მითითებას აძლევს. მექანიზატორები ახლა მზესუმზირის დასათესად ამზადებენ ტექნიკას.

შეგახსენებთ, რომ „მექანიზატორის“ საგარეჯოს სერვის-ცენტრის მექანიზატორებმა 2014 წლის გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო ბარათების მფლობელ ბენეფიციართა კუთვნილი 1400 ჰა მიწა მოხნეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი ქვეყნის ამ მაჩვენებლით შპს „მექანიზატორის“ სერვის-ცენტრებს შორის პირველ ადგილზე არიან.

ვულოცავთ მათ ამ წარმატებას – თავდაუზოგავი შრომით, პასუხისმგებლობის დიდი განცდით მიღწეულს.



„ჩიზელის“ ტიპის სახნავი



სერვის ცენტრის დირექტორი გია მარხვაშვილი (მარცხნიდან მარჯვნივ), მექანიზატორები: ბესო მარხვაშვილი, შალვა ტიგინაშვილი, გიორგი დარისპანაშვილი.

## 15 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია

### იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის

# რეკომენდაციები

## განმარტებები

### ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებისათვის:

„საქართველოს კონსტიტუციის“ მიხედვით, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონია, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. თუმცა, აკრძალულია გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობისას სხვა ადამიანების უფლებების ხელყოფა, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სუბიექტის ამომრჩევლებთან შეხვედრის ხელშეშლა, ჩაშლა. განსხვავებული აზრის მქონე პირებთან დაპირისპირება, მათი შეურაცხყოფა, ძალადობა ან ამგვარის მცდელობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს, მათ შორის გამგებელს, საკრებულოს წევრებსა და თავმჯდომარეს, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში ეკრძალებათ ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე არსებული ნებისმიერი ქონების გამოყენება.

ასევე, მათ ეკრძალებათ სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა წინასაარჩევნო პროცესებში.

არჩევნების ჩატარებამდე 60 დღით ადრე არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, ასევე აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა ოდენობის გაზრდა).

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად ჩაითვლება, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სოციალური რეკლამის სააგიტაციო მასალის, ვიდეო ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზეც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი. ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას.

დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. აღნიშნული აკრძალვა ვრცელდება ყველა საჯარო მოხელეზე განურჩევლად თანამდებობისა. მსგავსი ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად.

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს სამუშაო საათების განმავლობაში სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც „საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით ითვლებიან პოლიტიკური თანამდებობის პირებად. ესენი არიან: წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს წევრები; საკრებულოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (მერი/გამგებელი).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები – საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი/მერი, ასევე მათი მოადგილეები არ შეიძლება დაინიშნონ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

# ტერიტორიული ორგანო

## ვერხვიანი

სულ მიწის ფართობი 907 ჰა
მათ შორის :
სასოფლო-სამეურნეო სავარგული - 681 ჰა
აქედან:
სახნავი - 243 ჰა
საძოვარი - 209 ჰა
მრავალწლიანი ნარგავები - 228 ჰა
სულ ნათესი ფართობებია - 105 ჰა
მათ შორის საშემოდგომო -
სულ 45 ჰა
აქედან :
ხორბალი - 25 ჰა
ქერი - 20 ჰა
საგაზაფხულო სულ 60 - ჰა
აქედან :
სიმინდი - 36 ჰა
მზესუმზირა - 4 ჰა
ბაღჩეული - 10 ჰა
სხვა კულტურები - 10 ჰა
მრავალწლიანიდან - ვენახი -19 ჰა
აქედან
1-დან 3 წლამდე - 14 ჰა

**კომლი - 200**
**მოსახლეობა - 570**

***ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია*** **ნოდარ ბებიაშვილი.**


რწმუნებულია
ნოდარ ბებიაშვილი

**დაიბადა** საგარეჯოს რაიონის სოფელ ვერხვიანში 1957 წლის 17 აპრილს. 1968 წელს დაამთავრა სოფელ ყანდაურის საშუალო სკოლა. 1969 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო-სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობა დაიწყო საგარეჯოს ცენტრალურ რაიონულ აფთიაქში ფარმკონტროლიორის თანამდებობაზე, სადაც იმუშავა 1979 წლის ივლისამდე.

1979 წლიდან გადაიყვანეს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს სააფთიაქო ქსელის საორგანიზაციო განყოფილებაში ფარმინსპექტორის თანამდებობაზე. სააფთიაქო სამმართველოში სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა საკონტროლო სარევიზიო განყოფილების უფროს ინსპექტორად. 1988 წლიდან ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სააფთიაქო ქსელის უფროსად, მუშაობდა ქალაქ თბილისის №11 ცენტრალური აფთიაქების ქსელის გამგის თანამდებობაზე 1998 წლამდე. 1998 წლიდან 2002 წლამდე მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის ინსპექციაში მთავარ სპეციალისტად. 2013 წლის 1 იანვრიდან კი დაინიშნა სოფელ ვერხვიანის რწმუნებულის თანამდებობაზე.

***— ბატონო ნოდარ, როგორ დაახასიათებთ ვერხვიანს და ვერხვიანელებს, რა საქმიანობას ეწევიან ისინი?***

— ვერხვიანი ერთ-ერთი ჩვეულებრივი ქართული სოფელია თავისი ბუნებით, ხალხით, ტრადიციებითა და საქმიანობით. აქ ვცხოვრობთ საქართველოს დასავლეთის, იმერეთის სხვადასხვა სოფლებიდან ამ ორიოდე საუკუნის წინ ჯერ ჭერემში გადმოსახლებული და შემდეგ ვერხვიანში ჩამოსახლებული გვარები: ალუღიშვილები, ცხოვრებაძეები, ჭიკაძეები, ჯიქიძეები, კოზმანაშვილები, საგინაშვილები, ნინაშვილები, ბეგიაშვილები და სხვები. საქართველოს ძნელბედობის ჟამიდან ყველამ იცის საქართველოს და მითუმეტეს კახეთის ისტორია - თუ თემურ-ლენგი, თუ შაჰ-აბასი, თუ ლეკი, ოსმალო აფორიაქებდა, აოხრებდა და მიწისაგან პირისა აღგვიდა ქართულ ოჯახებს, ქართულ სოფლებს, მაგრამ ... ღვთის ნება იყო - კვლავ ქართველი დაფუძნებულიყო ურჯულოსაგან გაველანებულ ადგილზე, ნასოფლარზე და გაეგრძელებინა ქართული სოფლის მაჯისცემა. ასეა ჩვენი სოფელიც ...


რწმუნებულის თანაშემწე
ლანა როსტიაშვილი

ძალიან მშრომელი, ალალი, მართლაც რომ გულიანი ხალხია ვერხვიანელები. მათ საოცარი სიმშვიდით, მოთმინებით აიტანეს და გადაიტანეს გასული საუკუნის ძნელბედობის პერიოდი, მაგრამ არც კერია მიუტოვებიათ და არც სახნავ-სათესი და ვაზი. სოფელი, როგორც ყველა ქართული სოფელი სისხლხორცეულად არის მიჯაჭვული მიწას, უვლის საქონელს. მოსახლეობაში 266 სულ ძროხას უვლიან, ჰყავთ ღორი, ცხვარი, ქათამი. მოგეხსენებათ, მათ მოვლას და გამოკვებას მარცვლეული კულტურების დათესვა-მოყვანა ესაჭიროება, მაგრამ ვერხვიანელები ვაზს ისეთი სიყვარულით უვლიან, ისეთი იმედით ელოდებიან ამ შრომის დაფასებას, რომ არ მგონია, ვინმე


აღმზრდელები და აღსაზრდელები

გაუტოლდეთ მათ ამ სიყვარულში. მიწის მოვლა-დამუშავებაში მათ სახელმწიფომაც შეუწყო ხელი. ამ გაზაფხულზე სოფელში 109 ბენეფიციარმა მიიღო მოხვნისთვის სასოფლო-სამეურნეო ბარათი, მაგრამ მათგან 60-მა უკან დააბრუნა, რადგან უკვე დამუშავებული ჰქონდათ მიწის ნაკვეთები.

გასულ წელს ვერხვიანელებმა 191 ჰექტარი ვენახიდან 250 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენი ჩააბარეს ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ საწარმოებს, "საფერავის" =36 ტონა, "მწვანის" ჯიშის - 48 ტონა, ხოლო ჰიბრიდისა და სხვადასხვა ჯიშის - 14 ტონა ყურძენი. ახლაც გულდაგულ უვლიან და ეფერებიან ვაზს, უკვე დამთავრდა გასხვლა-შეყელვის სამუშაოები ჩვენთან.

***— ქართველი კაცი საცხოვრებელ ადგილს მიწის ნოყიერების მიხედვით არჩევს, მაგრამ უპირატესობას წყალს ანიჭებს — სასმელს თუ სარწყავს, ისე მარტო მიწა ვერ შეინახავს სოფელს... წყაროები ბევრ რამეს ნიშნავს სოფლისთვის...***

— სიმართლე რომ გითხრათ, ამ სიკეთით არ ვართ განებივრებულები. ერთი წყარო გვაქვს, სოფლის ბოლოში. წლები დასჭირდა მისი სასმელად გამოყენების ვარგისიანობის დადგენას, შემდეგ წლები იქ არტეზიული ჭაბურღილის მოწყობას. წყალი მლაშეა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ. 200 ტონიანი რეზერვუარიდან წყალი სოფლის თავში არსებულ რეზერვუარში იქაჩება და შემდეგ ნაწილდება სოფლის უბნებისდა მიხედვით. ზაფხულში მოსახლეობა სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის, რადგან ბევრი მოსახლე სარწყავი წყლის უქონლობის გამო სასმელ წყალს იყენებს ისევ სარწყავად. სიმართლე ითქვას, სასმელი წყლით სოფლის მოსახლეობის მოსამარაგებლად დიდი სამუშაოებია ჩატარებული, მაგრამ, გაზაფხულზე, წყლის დებეტის დაკლების და ზაფხულში უყაირათოდ ხარჯვის გამო, "კრიზისი" იქმნება. გასულ წელს არსებულ საუბნო ონკანებს "სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით კიდევ 9 საუბნო ონკანი დაემატა, სულ 25 საუბნო ონკანი გვემსახურება. სასმელი წყლის ყაირათიანად ხარჯვისთვის სოფლის მოსახლეობას შევთავაზე ზედამხედველობისათვის კომისია შეექმნათ, ჩვენც მხარში ამოვუდგებოდით და გაკონტროლების შემდეგ ცოტა მორიდება ექნებათ უყაირათოდ სასმელი წყლის მხარჯველებს, მაგრამ სოფელმა უარი თქვა ასეთი კომისიის შექმნაზე...


მზარეული
სოფიო ცხოვრებაძე

**ცნობისთვის**: 2009 წელს "სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით ვერხვიანში სასმელი წყლის ქსელების მოწესრიგებას27500 ლარი მოხმარდა; სასმელი წყლით სოფლის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით 2010 წელს 57300 ლარი გაიხარჯა, შეძენილ იქნა წყლის ტუმბო, რომელსაც 11.900 ლარი მოხმარდა, ხოლო წყლის შიდა ქსელის მოწყობას 7200 ლარი, სასმელი წყლის დაზიანებული მონაკვეთის შეცვლას 8600 ლარი; 2011 წელს შიდა სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაციას 12.342 ლარი; 2013 წელს სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის 7423 ლარი გაიხარჯა.


სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სველი წერტილი

***- გზა, სოფლამდე მისასვლელიც ამორტიზებულია, მაგრამ სოფელში ასფალტიანი გზაა...***

— დიახ, რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალიდან სოფლამდე 2 კმ სიგრძის მონაკვეთი საავტომობილო გზა მნიშვნელოვნად დაზიანებულია, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს იგეგმება. რაც შეეხება სოფლის გზებს, თქვენ თავად ხედავთ, სოფლის ცენტრალური გზა მოასფალტებულია, რომელიც შემდეგ უკავშირდება კაკაბეთს. ეს გზა ვერხვიანი - კაკაბეთი – ჩაილურის დამაკავშირებელი, გასულ წელს გაკეთდა, რამაც სამივე სოფელი მოწესრიგებული გზით დაგვაკავშირა. შიდა სასოფლო


დიდი ხანია საკლასო ოთახი ვერხვიანელ პირველკლასელებს ელოდება, მაგრამ როდემდე, არავინ იცის...

გზები კი, რომელთა საერთო სიგრძე 1.5 კმ-ია, მოხრეშვას მოითხოვს.

***— ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების საყრდენი ბოძები ავარიულ მდგომარეობაშია...***

— ეს მდგომარეობა ძალიან გვაღელვებს. ჩვენ სოფელში არც გამრიცხველიანება მომხდარა, არ შეცვლილა ელექტრომრიცხველები.

რაც შეეხება სოფლის გაზიფიცირებას, უკვე დაიწყო აქ სამუშაოები, დამთავრდა ყანდაურის და ჩაილურის გაზიფიცირების საქმე და მაისის ბოლომდე ალბათ ჩვენს სოფელში დამთავრდება ეს სამუშაოები.

***— სკოლასა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაზე რას იტყვით?***

— გაჩვენებთ ოთახს, სადაც დაწყებითი განათლების საფეხურის სკოლა იყო, ნახეთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მდგომარეობაც. სკოლა აქ სამი წლის წინ დახურეს, მოსწავლეთა კონტიგენტი აღარ იყო. ახლა კაკაბეთის საჯარო სკოლაში 20 ვერხვიანელი მოსწავლე დადის, ყანდაურის საჯარო სკოლაში – 49. ყანდაურაში სოფლიდან მოკლე გზაც გადადის, მაგრამ მათ სკოლაში მისვლა-მოსვლას სამარშუტო ტაქსი ემსახურება. ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის


ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა

დირექტორმა მანანა ცუცქირიძემ დაათვალიერა საკლასო ოთახები და შეძლებისდაგვარად დახმარება აღგვითქვა, ვნახოთ ... სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან სექტემბრისათვის 6 აღსაზრდელი ემზადება პირველკლასელობისათვის.

ვერხვიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება იმავე შენობაშია, სადაც ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული ორგანო და კარეზზე ბოქლომდადებული დაწყებითი განათლების საფეხურის სკოლის საკლასო ოთახები. აქ მეტი სინათლეა, სითბო და ხალისი იგრძნობა – შესასვლელიდანვე – გასახდელი, მოკრიალებული დერეფანი (დაწესებულების მენეჯერია ვერიკო საგინაშვილი). ლამაზ, ფართო, მზით განათებულ სამეცადინო ოთახში 15 თვალხატულა გოგო-ბიჭი ინტერესით შეგვხვდნენ. ყველაზე გაბედული დათო ცხოვრებაძე აღმოჩნდა და ლექსი წაგვიკითხა, თანაც გვითხრა, ჩემთან ერთად ანა, მარი, ირინა, მარი, გიორგი სკოლაში მივდივართო, თან აღმზრდელ-მასწავლებელს ნათია ბორაშვილ-ცხოვრებაძეს უყურებს – დამემოწმოსო.


სოფელი ვერხვიანი

აქ, ამ ნათელ ოთახში ნათია მასწავლებელთან ერთად ვერხვიანელი პატარების აღზრდა-განვითარებას ემსახურებიან მუსიკის მასწავლებელი – მაია გრძელიშვილი, ფსიქოლოგი ნინო ოსიაშვილი, ძიძა – ელზა საგინაშვილი და მზარეული სოფიო ცხოვრებაძე.

გასულ წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სასმელი წყალი შემოიყვანეს, მოვაწესრიგეთ სამზარეულო და ტუალეტი ეზოდან შენობაში შემოვიტანეთ. ამასთან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანებამ აქ წყლის გამაცხელებელიც დაამონტაჟა.

***— სამედიცინო მომსახურებაზე რას გვეტყვით, არც თუ მცირე მანძილით ხართ მოცილებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან...***

— რა გითხრათ, ჯერ-ჯერობით ჩვენ არ გვაქვს სამედიცინო მომსახურების არანაირი ობიექტი, თუმცა როგორც ხედავთ ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში რამდენიმე ოთახი დაკეტილია. წელს ვფიქრობთ აქ ერთ-ერთ ოთახს ჩაუტარდეს რემონტი და გაიხსნას სამედიცინო პუნქტი, სადაც მედიცინის მუშაკს შეეძლება კვირაში ერთხელ მაინც სამედიცინო შემოწმება - კონსულტაცია ჩაუტაროს აქაურ მოსახლეობას.

სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩენილ ვერხვიანელებს გასულ წელს ორჯერ მოუხერხდათ მედიცინის მუშაკებთან შეხვედრა. სოფელს ეწვივნენ ჯერ თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო ცენტრის ექიმები, რომელთაც დაახლოებით 200 ვერხვიანელი გასინჯეს – ბავშვიდან დაწყებული, მოხუცით დამ-


მედიცინის მუშაკები სოფელ ვერხვიანში

თავრებული და 2 ათასი ლარის მედიკამენტებიც დაურიგდათ აქაურებს ფარმაცევტული კომპანია "ავერსის" საქველმოქმედო ფონდისგან. აღნიშნული ღონისძიება საქართველოს ქალთა საბჭოს თაოსნობით იყო ორგანიზებული. მეორედ კი მათ ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული კომპანია "ჯეოჰოსპიტალს"-ის მედიკოსები ესტუმრნენ.

***— საგანმანათლებლო დაწესებულებებზე რას იტყვით?***

— ჩვენს სოფელში იყო ბიბლიოთეკა, მაგრამ ალბათ წლებია, რაც დაიხურა. იქ არსებული წიგნადი ფონდი კაკაბეთის ბიბლიოთეკაში იქნა გადატანილი. საკლუბო მუშაობის სპეციალისტი არ გვყავს.

***— სამომავლო საკეთებელზე ...***

— სოფელში მოსაგვარებელ საკითხებს რა გამოლევს?! სოფელში შემოსასვლელი გზას რეაბილიტაცია კი არა, კაპიტალურ შეკეთება-გაკეთებას მოითხოვს; სასმელი წყლის მაგისტრალზე 1.6 კმ. სიგრძის მილი შესაცვლელია, რადგან დაზიანებულია და წყალს ხშირ შემთხვევაში ჟანგი ერევა; ქუჩის განათება არ გვაქვს; გამრიცხველიანება ჩვენთან არ ჩატარებულა ელექტროსერვისის მესვეურების მიერ; გამოსაცვლელია ელექტროგადამცემი ხაზები; სოფლის შემოსასვლელშივეა ნაგავსაყრელი; შესაკეთებელია წყლის რეზერვუარი, რომელშიც ზოგჯერ ქვები და მიწა იყურება; მისი კედლები შესალესია; სოფელს სარიტუალო დარბაზი არ აქვს, მაგრამ გამოჩნდა პიროვნება, რომელიც სოფლის მოსახლეობას სარიტუალო სახლს აუშენებს და შიგ საჭირო ინვენტარსა და ჭურჭელს შეიტანს, ეს ძალიან დიდი შვება იქნება სოფლისათვის. სოფელს აქვს სპორტული მოედანი, რომელიც 2012 წლის "სოფლის მხრდაჭერის" პროგრამით გაკეთდა, მაგრამ სოფელში არ ფუნქციონირებს არც ერთი სპორტული სექცია.

სოფელი დღეს საგაზაფხულო სამუშაოებშია ჩაბმული – დასათესი დაითესა, გასასხლავი გაისხლა. იმედით შეჰყურებენ ვერხვიანელები თავიანთ ნაკვეთებს - მომავალ შემოდგომაზე მიითვლიან გაწეული შრომით მოწეულ მოსავალს.

***— იმედი ნუ მოგვშლოდეთ!***

*ესაუბრა*
*თინა ილაური*

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

# ტერიტორიული ორგანო

# ბადიაური

მიწის ფართობი სულ 5998 ჰა
აქედან:
კერძო – 1714 ჰა
მუნიციპალური – 18 ჰა
სახელმწიფო – 426 ჰა
სასოფლო-სამეურნეო მიწები სულ –4595 ჰა
აქედან:
კერძო – 1714 ჰა
მუნიციპალური – 18 ჰა
სახელმწიფო – 2863 ჰა
სახნავი სულ – 1615 ჰა
აქედან:
კერძო – 1200 ჰა
მუნიციპალური – 0
სახელმწიფო – 415 ჰა
სათიბი – 0
საძოვარი სულ – 2569ჰა
კერძო – 500 ჰა
მუნიციპალური – 18 ჰა
სახელმწიფო – 2051ჰა
მრავალწლიანი ნარგავი სულ – 310.45ჰა
კერძო – 310,4 ჰა

**კომლი – 462**
**მოსახლეობა 1580**

### ინფრასტრუქტურა

**2008 წელი –**



*რწმუნებული* **ნანა ტაველიშვილი**

1. სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის აქ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 54,700 ლარი გაიხარჯა;
2. მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესება – 40 ლარი;
3. 2007 წელს ბადიაურის გარე განათების დავალიანების დასაფარად 71.500 ლარი გაიხარჯა.

**2009 წელი –**

1. დაზიანებული წყალსადენის აღდგენას 12000 ლარი დასჭირდა;
2. დასასვენებელი სკვერის მოწყობაზე 11100 ლარი გაიხარჯა;
3. საბავშვო ბაღის რემონტს – 2500 ლარი მოხმარდა;
4. საჯარო სკოლის რეაბილიტაციას – 58200 ლარი;
5. საჯარო სკოლის რეაბილიტაციას – 3700 ლარი.

**2010 წელი** – 1. სოფლის ღვინის ქარხნის და მესეტყვეების უბნის სასმელი წყლის ქსელების შეკეთებაზე 25 ათასი ლარი გაიხარჯა;
2. სასმელი წყლის სათავის აღდგენას – 3880 ლარი მოხმარდა.

**2011 წელი –**

1. ბადიაურის სასაფლაოს შემოღობვას – 10 ათასი ლარი;
2. სოფლისთვის ნაგავმზიდი ავტომანქანის სეძენას – 14100 ლარი გამოიყო.

**2012 წელი –**

1. სოფლის სპორტული დარბაზის გაკეთებაზე – 14725 ლარი დაიხარჯა;
2. მინი სტადიონის გაკეთებას 16000 ლარი მოხმარდა;
3. ვენახებთან მისასვლელი ბოგირის გასაკეთებლად 500 ლარი დაიხარჯა.

**2013 წელი –**

1. სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციას 31258 ლარი მოხმარდა;



*რწმუნებულის თანაშემწე* **ვანო გიგილოშვილი**

ბადიაურის რწმუნებულია **ნანა ტაველიშვილი**.

დაიბადა 1968 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში. 1985 წელს დაამთავრა სოფ. ბადიაურის საშუალო სკოლა. 1986 წელს ჩააბარა ქ. თბილისის №1 სამედიცინო ტექნიკუმში – მედდის სპეციალობაზე.

1988 წლის სექტემბრიდან მუშაობდა საგარეჯოს რაიპოლიკლინიკის სტატისტიკოსად. შემდეგ მუშაობდა საგარეჯოს ინფექციური განყოფილების მედდად. ასევე მუშაობდა თერაპიული განყოფილების მედდად. შემდეგ გადავიდა სოფ ყანდაურის ამბულატორიაში მედდად. 2006-2007 წლებში გაიარა გადამზადების კურსები ქ. თბილისის საოჯახო მედიცინის ცენტრში. ამავე ცენტრში გაიარა გადამზადება ტრენერის კვალიფიკაციით. მუშაობდა ტრენერად ამავე ცენტრში. შემდეგ კი მიავლინეს საგარეჯოს რაიპოლიკლინიკასთან არსებულ ოჯახის ექიმთა და ექთანთა გადამზადების ცენტრში ტრენერად. ბოლო დრომდე მუშაობდა ბადიაურის ამბულატორიაში ოჯახის ექთნად. ჰყავს მეუღლე – დავით ლეგაშვილი, ორი ვაჟიშვილი – გურამი და ჯაბა.

***– ქნო ნანა, თქვენ თქვენი სოფლის თითოეულ ოჯახს იცნობთ. თქვენი ბიოგრაფიიდან გამომდინარე გარკვეული პერიოდი ოჯახის მედიცინის და იყავით. ამდენად, გეცოდინებათ ყოველ მათგანს რა უჭირს...***

– ძირითადად დასაქმების პრობლემაა, მატერიალურად უჭირს მოსახლეობას. არა აქვთ ყოველთვიური შემოსავალი, რითაც იარსებებს



*ინეზა მასწავლებლის აღზრდილები დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგმა ნინო ზაკალაშვილმა უნდა მიიღოს პირველ კლასში*

ოჯახი.

***– რამდენი ოჯახია ჩართული სიღატაკის ზღვარსმყოფი ბენეფიციარების პროგრამაში და დაახლოებით რამდენია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამაში შეყვანილი (უდედმამო და უნარშეზღუდული)?***

– სოფელ ბადიაურში 70 ოჯახია სოციალურად დაუცველი. უნარშეზღუდული გვყავს ერთი ბავშვი – მარიამ ცანკაშვილი.

***– რას იტყვით, დაადგა თუ არა საშველი სოფლების – ბადიაურისა და ლამბალოს საზღვრების დადგენას, რაზედაც ორივე სოფლის რწმუნებული ზოგჯერ იუმორით, ზოგჯერ კი სერიოზული ტონით კამათობთ და ფეისბუკზედაც არ „უსვენებთ“ ერთმანეთს?***



*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერი* **ირმა ჩალათაშვილი**

– რუკებზე როგორც არის მონიშნული საზღვრები, ისევ ისეთი მდგომარეობაა. ჯერჯერობით ჩვენ არანაირი ცვლილება არ შეგვიტანია.

***– ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების რწმუნებულები ხშირად პრობლემატურ საკითხად იმ საჯარო მიწების მოიჯარეების გასაჭირს აყენებთ, რომლებმაც იჯარით აღებული მიწები სახელმწიფოს უკან დაუბრუნეს, მაგრამ საგადასახადო დავალება მათ მაინც ეწერებათ... თქვენთან რა მდგომარეობაა?***

– ბადიაურის ტერიტორიაზე ეგ პრობლემა არ არის.

***– სოფლის ბოლოზე ნაგავსაყრელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში და ამ გაზაფხულზეც და იქამდეც, უამრავი საყოფაცხოვრებო ნარჩენები – განსაკუთრებით კი პოლიეთილენის პარკებითა და პლასტმასის ბოთლებით „დამშვენებული“ მიდამო და ხეები გვხვდება. სოფელს 2011 წელს ნაგავმზიდი მანქანა გამოეყო. რა მდგომარეობაშია ოფიციალურად გამოყოფილი ნაგავსაყრელი დღეს?***

– ამჟამად ეგ პრობლემა აღმოფხვრილია, მანქანა შეკეთებულია, კვირაში ორი დღე ემსახურება სოფელს. იორმუღანლოს გზა გაწმენდილია, გატანილია რამდენიმე მანქანა ნარჩენი.

***– ძალიან კარგი, მალე ზაფხულიც მოვა, ანტისანიტარია სერიოზულ პრობლემას შეუქმნის აქაურ მოსახლეობას.***

– რა თქმა უნდა.

***– ჯანმრთელობას შევეხეთ და რა მდგომარეობაა, სოფელი ალბათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშია ჩართული...***

– დიახ, სოფლის მოსახლეობა ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში.

### სამედიცინო მომსახურება

**„საოჯახო მედიცინის“** ცენტრი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია „მერლინმა“ 2006 წელს გააკეთა, ამჟამად ბადიაურის, შიბლიანისა და ბოგდანოვკის მოსახლეობას ემსახურება. ცენტრი ყანდაურის მოსახლეობასაც არ ეუბნება უარს მომსახურებაზე. აქ გამოცდილი „საოჯახო მედიცინის“ ცენტრისთვის გადამზადებული, კვალიფიციური ექიმები ეთერ ცხადაძე და ცინარი აბესაძე ემსახურება მოსახლეობას. ცენტრის შენობა თანამედროვე სტანდარტებზეა გათვლილი. აქ არის 2 კაბინეტი ექიმების, ორი მედიცინის დებისთვის, არის სამანიპულაციო ოთახი, ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით, არის კარდიოგრამის აპარატი, აქ შეიძლება შაქარზე გამოკვლევა, ცენტრს აქვს სველი წერტილები, მაგრამ... იმის გამო, რომ თავის დროზე ვერ მოხერხდა შენობის ჭერის შესაბამისი გადახურვა, წვიმისა და თოვლის წყალი ჩამოდის. ერთ ოთახში ჭერიც კი ჩამოვარდა. ამ პრობლემამ 2007 წელს იჩინა თავი, მას შემდეგ შველას ითხოვს ცენტრის შენობა, მაგრამ... სულ ახლახან ტერიტორიულმა ორგანომ დასახმარებლად პრეზიდენტის კანცელარიასაც მიმართა – აქ შესაბამისი სტანდარტებით უნდა მოხდეს ჭერის კიდევ ერთხელ მოხსნა და ახლიდან დაყენება.



*საჯარო სკოლის მენეჯერი* **ბელა ხარებაშვილი**

**ბადიაურის** მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარებას აქ საჯარო სკოლა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ემსახურება.

### სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება



*საკლუბო მუშაობის სპეციალისტი* **მზია ხორბალაძე**

***დაწესებულების მენეჯერია* ირმა ჩალათაშვილი.**

აქ სამ სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში 45 აღსაზრდელია.

ბაგის ასაკის აღსაზრდელებს აღმზრდელი ნინო აფციაური და აღმზრდელის თანაშემწე ლალი ზირაქაშვილი ემსახურებათ.

3-4 წლიან აღსაზრდელთა ჯგუფის აღმზრდელი ლია ბაცანაძეა, აღმზრდელის თანაშემწე – ლელა ნაცვლიშვილი.

5-6 წლიან აღსაზრდელთა ჯგუფის აღმზრდელია ინეზა იმნაძე, აღმზრდელის თანაშემწე – თეა მაისურაძე.

დაწესებულების აღსაზრდელთა აღზრდას ასევე ემსახურებიან ფსიქოლოგი მაია ზურაშვილი, ლოგოპედი დალი ელიზბარაშვილი, მუსიკის მასწავლებელი სოფო ტაველიშვილი, მედდა მანანა ლომსაძე და მზარეული ელიკო ოდიშვილი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ორსართულიანია. აქედან მხოლოდ I სართულს იყენებენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებისათვის, რადგან II სართული სარემონტოა – აქ წვიმისა და თოვლის წყალი თითქმის ყველა



*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება*

ოთახში ჩამოდის...

რაც შეეხება I სართულს, აქ მდგომარეობა უკეთესადაა. სწორედ ამიტომაც 1 მაისს მოწვეულ სტუმრებს დაწესებულების გამოსაშვები ჯგუფის აღზრდილებმა პირველი სართულის „საკონცერტო დარბაზში“ უმასპინძლეს.

ეს არ იყო მხოლოდ იმ შემოქმედებითი მუშაობის წარმოდგენა, რომელიც წლების განმავლობაში მათმა აღმზრდელმა ინეზა იმნაძემ თავის აღსაზრდელებთან ერთად გასწია – აქ იყო ასევე ფსიქოლოგის, ლოგოპედის, მუსიკის მასწავლებლის, აღმზრდელის თანაშემწის, დაწესებულების მენეჯერისა და თითოეული ბავშვის მშობლის, მათი ოჯახების ურთიერთთანადგომით მიღწეული ის წარმატება, რომელიც შემდეგ სკოლაში უნდა გაგრძელდეს. დიახ, ყოველგვარი დაძაბულობის, სიმორცხვის, რიტმიდან ამოვარდნის გარეშე ჩაიარა სკოლამდელთა „გამოსაშვებმა ზეიმმა“.



*კარატეს სექციის მწვრთნელი* **ვანო გიგილოშვილი**

საოცარი თავდაჯერებულობით შეასრულეს ცეკვა „ქართული“ ია ჩოკოშვილმა და გიორგი ბაჩოშვილმა, „აჭარული“ – თაკო ჩოკოშვილმა, ანელი უბიძემ, გიორგი ელიზბარაშვილმა, „მთიულური – ანი მინასოვმა და მარიამ არაბულმა! თუმცა, მათთან ერთად ცეკვავდნენ, ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებს, წარმოთქვამდნენ ლექსებს ქართული ზეპირსიტყვიერებიდან – ბაჩუკი, მარიამი, გიორგი, ანი, გელა, ლუკა, ნიკა, ირაკლი, ლიკა. აქ იყო წარმოდგენილი ქართული ფოლკლორი გაჟღენთილი სამშობლოს, ენის, მამულის, სარწმუნოებისადმი დიდი სიყვარულით, იმ კედლების მიმართ მადლიერებით, რომელშიც მათ ერთმანეთი გაიცნეს, დაეუფლნენ წინასასკოლო პროგრამას, მოემზადნენ სასექტემბროდ პირველკლასელობისთვის.

მათ გამოსაშვებ ზეიმს იმ სკოლის დირექტორი და დაწყებითი კლასების პედაგოგიც ესწრებოდა, რომლისკენაც ამ დღეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თითოეულმა თანამშრომელმა გზა დაულოცათ მათ. ამ დღეს გაბრწყინებული იყო ნინო ზაკალაშვილი – მას ხომ სექტემბრიდან ჩამოყალიბებული, ახალი ცვლა ეყოლება. სამაგიეროდ სევდაც იყო ამ საზეიმო განწყობილებაში: – ცელქები არიან, მაგრამ საოცრად გონიერები, მონდომებულები, აქვთ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა ერთმანეთის მიმართ, პედაგოგის, შესასწავლი მასალის მიმართ. არ შეიძლება, არ აღვნიშნო თითოეული მშობლის გვერდში დგომა, ინტერესი, მონდომება, ყურადღება მხოლოდ საკუთარი შვილის მიმართ კი არა, მათი მეგობრების მიმართაც. რთული მომენტია დღეს ჩემთვის. ჩვენ ერთად დავძლიეთ გარკვეული სირთულეები, მე მიხარია და მეამაყება, რომ ისინი თავიანთი გონიერებით, ნიჭიერებით, მონდომებით ახალ გარემოს მალე მიეჩვევიან და ნინო მასწავლებელთან ერთად საინტერესო სასკოლო ცხოვრებას გააგრძელებენ, – მეუბნება ინესა იმნაძე, – წელს 14 პირველკლასელი მიდის ჩვენიდან.

***ბადიაურის საჯარო სკოლის მენეჯერია* ბელა ხარებაშვილი**. ბელა 25 წელი ამ სკოლაში დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგი იყო. სულ ორიოდე წელია, რაც მენეჯერის პასუხისმგებლობა დაეკისრა.

**სკოლა** განლაგებულია 1400 მ2 ფართობის ნაკვეთზე.

სკოლის შენობა სამსართულიანია, სადაც 12 საკლასო ოთახია განლაგებული. სკოლას აქვს ინფორმატიკის კაბინეტი, ღია სპორტული მოედანი. სკოლის 180 მოსწავლის სწავლა-აღზრდას 26 პედაგოგი ემსახურება, რომელთაგანაც 9 სერტიფიცირებულია.

საჯარო სკოლის სრულ კურსს წელს 12 მეთორმეტეკლასელი ამთავრებს.

სკოლაში ქართველ მოსწავლეებთან ერთად



*გამოსაშვები საღამო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში*

სწავლობენ აზერბაიჯანულენოვანი 12 მოსწავლე. გასულ წელს აქ 19 აზერბაიჯანელი მოსწავლე ჰყავდათ. მათ გადაყვანა-გადმოყვანას სპეციალურად გამოყოფილი სამარშრუტო ტაქსი ემსახურება.

სკოლაში ჰყავთ წარმატებული მოსწავლეები, მეთორმეტეკლასელი – ანა მირიანაშვილი, მეთერთმეტეკლასელი – ანანო ათაბეგაშვილი.

### საკლუბო მუშაობა

ბადიაურის ***საკლუბო მუშაობის სპეციალისტია* მზია ხორბალაძე.** კლუბი ბადიაურის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ოთახშია. სწორედ ამ ოთახში მეცადინეობენ ქორეოგრაფიული წრის (ხელმძღვანელი ფიქრია ჩეკურიშვილი), მუსიკის წრის (ხელმძღვანელი მაია სირბილაშვილი) წევრები.

წინა წლებში აქ ფუნქციონირებდა ხელგარჯილობის წრეც. ახლა დიდი სურვილი აქვთ აქ „თოჯინების თეატრის“ წრე ჩამოაყალიბონ, სადაც ბადიაურელი ახალგაზრები, სკოლის მოსწავლეები, სცენისმოყვარულები გაერთიანდებიან, თავადვე შექმნიან თოჯინებს და დადგამენ სპექტაკლებს.

სახალწლო ღონისძიებამ აქ მართლაც საინტერესოდ ჩაიარა. ახლა ივნისის ერთობლივი ღონისძიებისათვის ემზადებიან. ეს იქნება კულტურულ-სპორტული ღონისძიება, სადაც საკლუბო მუშაობის სპეციალისტი და ბადიაურის კარატეს სექციის მწვრთნელი ვანო გიგილოშვილი სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად მომზადებულ სახალისო წარმოდგენებს გამართავენ.

# ინფორმაცია

# ინფრასტრუქტურა-2014

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

### ახალი პროექტების განხორციელება მალე დაიწყება

**2014 წელს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პოროექტები. კონკრეტულად:

**ქ. საგარეჯოში,** კოსტავას ქუჩაზე (რკინიგზის სადგურის დასახლება) **სკვერის მოწყობა_**– დაფინანსება **14850** ლარი;

**ქ. საგარეჯოში,** კოსტავას ქუჩაზე №16 და №14 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ **სკვერის მოწყობა – 11800 ლარი**;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **კაკაბეთის** საბავშვო ბაღის დაზიანებული **კედლის აღდგენა – 9600** ლარი;

**ტუალეტის** მოწყობა – **3960** ლარი;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **კოჯბანში** ტერიტორიული ორგანოს ეზოში **ტუალეტის მოწყობა – 1980** ლარი;

**ქ. საგარეჯოში,** დ. აღმაშენებლის ქ. №9-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში კიბეების ბაზალტის **საფეხურების შეკეთება და პანდუსის მოწყობა – 5000** ლარი;

**ქ. საგარეჯოში,** გმირთა მემორიალზე დაზიანებული დროშის აღსამართი მილის შეკეთება – **250** ლარი;

**ქ. საგარეჯოში** იმედის ქუჩაზე მდებარე №15 და №17 კორპუსების **საკანალიზაციო ქსელის მოწყობა – 7000** ლარი;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდი ჩაილურის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია – 24750** ლარი;

**ქ. საგარეჯოში** კახეთის გზატკეცილი №12-ში მდებარე კორპუსის **სასმელი წყლის აუზის** შეძენა-მონტაჟი და ქსელის სასმელი წყლის სისტემაზე მიერთება – **8000** ლარი;

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის **სოფელ ნინოწმინდაში** წმინდა ნინოს ეკლესიის მიმდებარედ **გარე-განათების** მოწყობა – **3200** ლარი;

**ქ. საგარეჯოში საგზაო ნიშნების მოწყობა – 9900** ლარი;

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდ ჩაილურში მემორიალის მოწყობა – 4950** ლარი;

**ქ. საგარეჯოში** გზის დაზიანებული საფარის **ორმოული შეკეთება – 15000** ლარი.

---

### ძიუ-დო

## გოგონებმა წეროვანშიც გვასახელეს

**4 მაისს** სოფელ წეროვანში ძიუ-დოში ჩატარდა გოგონათა შორის სარეიტინგო ტურნირი, რომელშიც საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონებიც იღებდნენ მონაწილეობას. სარეიტინგო შეჯიბრში გამარჯვებული გოგონები საგზურს იღებენ იმ მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიადაში, რომელიც 2015 წელს საქართველოში უნდა გაიმართოს. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, აბაშის, გორის, ბორჯომის, საგურამოს, წეროვანის, ახმეტის, საგარეჯოს ძიუდოისტი გოგონები.

გარეჯელ ძიუდოისტ გოგონებიდან (მწვრთნელი ლუდა ფერაძე) მონაწილეობდნენ 1998-1999-2000 წლებში დაბადებული ძიუდოისტები. მათგან სუფთა მოგებით ფინალში გავიდა ხატია მინდიაშვილი (48 კგ წონითი კატეგორია) და მეორე ადგილს დასჯერდა. პირველ ადგილზე კი ბათუმელი ხატია შარაძე გავიდა. მესამე ადგილი დაიკავა ნინო გულისაშვილმა (57კგ წონითი კატეგორია), ხოლო V ადგილზე გავიდა თინათინ რევაზიშვილი. აღსანიშნავია, რომ სამივე გოგონა თავიანთ გუნდთან ერთად მხოლოდ ორი თვეა ვარჯიშობენ, თინათინმა პირველად მიიღო მონაწილეობა ტურნირში და უკვე საკმაოდ დიდი წარმატებით.

– სწორედ ეს იყო გასაკვირი სხვა გუნდების მწვრთნელთათვის უფრო სწორედ წლების წინ ჩამოყალიბებული ქალთა ძიუდოს კლუბების მწვრთნელების, რომლებიც ვერ იჯერებდნენ, რომ ამ გოგონებში არის ნიჭი და უნარი – ადვილად აუღონ ალღო ძიუ-დოს ილეთებს და თავადაც გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობებით თუნდაც საწვრთნელ დარბაზში ჯერ კიდევ შეუსწავლელი ილეთები, – მეუბნება მწვრთნელი ლუდა ფერაძე, – ჩვენმა ძიუდოისტმა ნატალია ყიფშიძემ საერთოდ აღაფრთოვანა მაყურებელი. მან ოქროს მედალი დაიმსახურა. არ არის ნაკლები მიღწევა თუნდაც ხატია მინდიაშვილისთვის ის შედეგი, რაც მან აჩვენა – ხატია რეიტინგით №2-ია საქართველოში 48 კგ წონით კატეგორიაში გოგონათა შორის. არ ჩამითვალოთ დაქადნებაში, მაგრამ, ჩვენ საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონებით საქართველოს ნაკრების დაკომპლექტება შეგვიძლია, ოღონდ აქ მართლაც ხელშეწყობა გვჭირდება როგორც მუნიციპალიტეტის, ისე სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობის მხრიდან. ეს ხელშეწყობა კი შეკრებაზე ხელის შეწყობა იქნება, ასევე, გასვლით ტურნირებში მონაწილეობა, რომელიც მეტ გამოცდილებას შესძენს ჩვენს გოგონებს. ახლა ივნისში ჩვენ ლაგოდეხში გვიწევს გასვლა, შემდეგ ბათუმში. თქვენ წარმოიდგინეთ ბაქოში მიღწეული დიდი გამარჯვებისათვის თურქეთის ძიუდოისტთა კლუბმა ანტალიაში 10 დღიან შეკრებაზე მიგვიწვია.

ჩვენ დიდი გამარჯვებებისთვის ვემზადებით. გოგონებმა მიზნად ბევრი რამ დაისახეს – მათ სურვილი აქვთ მომავალში იაპონიასა და საფრანგეთში საქართველოს ნაკრებთან ერთად გავიდნენ ტურნირებში.

ვნახოთ!

---

### 12 მაისი – სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის მუშაკთა დღეა!

## მუდამ მზადყოფნის რეჟიმში



ამ სამსახურს ათეული წლების წინ ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი ერქვა, თუმცა, მხოლოდ ხანძარს როდი ებრძოდნენ ისინი. სწორედ ამიტომაც მათ რიგებში მამაცი, ვაჟკაცური სულის ადამიანები იყვნენ ყოველთვის. უკანასკნელ წლებში – ამ ორიოდე წლის წინ ამ სამსახურს სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური ეწოდა. მავანი იკითხავს – სახანძრო დაცვა გაგვიგია, ვხვდებით, მაგრამ სამაშველოში რაღა შედისო?! სწორად რომ გაერკვიოთ და მიხვდეთ, თუ რა, უბრალოდ და მარტივად რომ აგიხსნათ,– თითქმის ყველაფერი, გარდა უკიდურეს შემთხვევაში მათი ადამიანზე ქირურგიული ჩარევისა. დიახ, ბუნებრივი კატაკლიზმების, მიწისძვრის, ქარიშხლის, გრიგალის, წყალდიდობის, ძლიერი ყინვების, დიდთოვლობისა თუ სხვა ავტოკატასტროფებისას: ავტომანქანის ხევში გადაჩეხვისას, ხესთან თუ კლდესთან შეჯახებისას, ყოველგვარი დაზიანების მიღებისას, ამ სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან მგზავრს გაუწიონ ქმედითი დახმარება – დაშავებული თუ საღსალამათი მგზავრი ამოიყვანონ დაზიანებული ავტომობილიდან და გაუწიონ პირველადი დახმარება. ცეცხლის, ხანძრის ჩაქრობასა და ხანძრიდან ცოცხალი ძალისა თუ ტექნიკის გამოყვანაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ.

სწორედ მათზეა ნათქვამი „ვაჟკაცსა გული რკინისა“-ო რადგან ძნელია უყურებდე გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს, აკეთებდე ყველაფერს – იმასაც, რაც შენს ძალებს აღემატება, მაგრამ, აკეთებდე თითქმის ცარიელი ხელებით. რატომო? ჯერ ერთი ისინი შემთხვევის ადგილზე – ცეცხლია, დატბორვაა თუ ავტოავარია, ძველი, საბჭოთადროინდელი, მძიმეწონიანი ავტომობილებით გადაადგილდებიან და სხვა დამხმარე, ელემენტარული ხელსაწყო-იარაღებიც არ აქვთ. სამაგიეროდ?! გული აქვთ რკინის და შეუდრეკელი, სული – ქართული და მართლმადიდებლური – ძარღვებში სისხლი უდუღთ და მოჰკიჟინებთ – ქართველია და ქართველს ღმერთმა გამძლეობა დაუწესა, სხვათა დახმარების უნარი და შესაძლებლობა მისცა, ხოდა, ბიჭები არ ზოგავენ თავს, თითქმის ერთმანეთს ასწრებენ, ეფარებიან, ენაცვლებიან და როცა მდგომარეობა „პიკს“ აღწევს, იქ, დაწყებული უფროსიდან, მძღოლით დამთავრებული, ყველა მეხანძრე, მაშველი, გადამრჩენელი ხდება... ამიტომაცაა, რომ ვინ, ვინ და ყველაზე მეტ მადლობას ისინი იმსახურებენ, ყველაზე ყოჩაღები, მოხერხებულები ისინი არიან რეგიონში და სხვებთან შედარებითაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები.

თავად სამსახურის უფროსს ზაქრო ოტიაშვილს 1991 წელს რიგით მეხანძრედ დაუწყია აქ მუშაობა. ზაქროს შემთხვევის ადგილზე პირველ გასვლას ახლაც ღიმილით იხსენებს სამსახურის მთავარი სპეციალისტი ფრიდონ ბეჟიაშვილი, რომელიც მაშინ სამსახურის უფროსის მოადგილე იყო:

– ჩვენს სამსახურში ახალბედა მეხანძრე შვიდ შემთხვევას (ხანძარს) უნდა დასწრებოდა და პრაქტიკა მხოლოდ ასე უნდა მიეღო, შემდეგ კი შეიძლებოდა მისი ხანძრის სალიკვიდაციო საქმიანობაში ჩაბმა. შეტყობინება შემოვიდა – კახეთის გზატკეცილზე, საცხოვრებელი სახლის IV სართულზე ბინა იწვოდა. ჩვენ ადგილზე გავედით. ზაქრო ორიოდე დღის მიღებულია და ჯერ ისეა, კიბის დაშლა-აწყობაც არ იცის, არც წყლის „შლანგების“ გაშლა. მივედით ადგილზე. მივუბრუნდი და თვალებით ვეძებ ზაქროს, კიბის გახსნა-აწყობაზეც მინდა „ინსტრუქტაჟიც“ მივცე და თან სწრაფად გავშალო... სად არის ზაქრო!.. სახლის სახურავიდან ხმა მესმის, თურმე სახლის სადარბაზოს კიბით ასულა სახურავზე და იქიდან თოკი გადმოგვიგდო, „შლანგს“ მოაბითო, გაკვირვებისაგან ძლივს გამოვერკვიეთ. კარგა გვარიანი გამურვით მოიღო „პირველი ნათლობა“ ზაქრომ იმ დღეს...

– ფრთხილობენ ბიჭები, ძალიან ფრთხილობენ, იციან, რომ თავად რაიმე თუ დაუშავდათ, აქტიურ მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ სტიქიასთან ბრძოლაში, ვეღარ დაეხმარებიან გასაჭირში მყოფს. ამ რამდენიმე წელში ერთი შემთხვევა გვქონდა – ახალციხეში ხელები დაეწვა გიორგი ასთავიშვილს, „ალინჯასთან“ ქარიშხლისაგან წაქცეული დიდი ხეებისგან გზის გათავისუფლებისას ბეჟან ილაურს საჩვენებელი თითის ნაწილი დაუზიანდა...

ჩვენმა მეხანძრეებმა გასულ წელს პოლონეთში გაიარეს კვალიფიკაცია. ისინი ოთხნი წავიდნენ. ზაქრო ოტიაშვილმა თეორიული კურსი გაიარა, იმედა ბაბაკიშვილმა – შემთხვევისას (ვთქვათ ტრანსპორტირებისას, ავტოშემთხვევის დროს) ქიმიური ნივთიერების გაუვნებელყოფის ღონისძიებები; დათო სვიმონიშვილმა – ავტოსაგზაო შემთხვევის ან სტიქიური უბედურების დროს მანქანიდან მგზავრების გამოსაყვანად მოსამზადებელი სამუშაოები (ელექტროშემდუღებლით მანქანის ნაწილებად დაჭრა); კახა არუნაშვილმა – წყალდიდობისას ჩასატარებელი ღონისძიებები; ეს იყო პოლონეთისა და კახეთის მხარის ერთობლივი პროგრამა. როგორც მათ შეიტყვეს, პოლონეთში მომავალ მეხანძრეებად მსურველებს 1 წლის განმავლობაში ამზადებენ სპეციალურ სკოლაში. ჩვენთან კი სტიქიასთან ბრძოლის გაკვეთილებს თავადვე ასწავლიან. ისინი სულ 35-ნი არიან და 35-ვე ერთმანეთს მხარში უდგანან. აი, ისინიც, სამ ცვლაში მომუშავენი:

**იმედა ბაბაკიშვილი** (ცვლის უფროსი), მძღოლები – სულიკო ლაფერიშვილი, ზურაბ ხატიაშვილი, გიორგი ალექსაშვილი, მეელსმენე გიორგი შიოშვილი, მეხანძრეები: ვალერი დარისპანაშვილი, ჯემალ ოსიაშვილი, ივანე ჩერქეზიშვილი, დათო სვიმონიშვილი, ბეჟან ილაური.

**გიორგი ასთავიშვილი** (ცვლის უფროსი), მძღოლები: ივანე თამაზაშვილი, გიორგი კერატიშვილი, ტრისტან ხატიაშვილი, მეელსმენე ლევან კუჭუაშვილი, მეხანძრეები: გაიოზ ბეციაშვილი, ხვიჩა გუგუტიშვილი, გურამ ცხვარიაშვილი, თეიმურაზ ნარეკლიშვილი, ზაქრო გაგნიაშვილი.

**აბო ილაური** (ცვლის უფროსი) – მძღოლები: სუტო ამაროვი, გიორგი ხიზანიშვილი, გიორგი ქურდოვანიძე, გიორგი ოგანოვი, მეელსმენე – კახა ლეგაშვილი, მეხანძრეები: თამაზ გილაშვილი, გივი ხატიაშვილი, ივანე ქვრივიშვილი, დავით რუსიშვილი, სულიკო სვიმონიშვილი.

სამსახურის მთავარი სპეციალისტები არიან ფრიდონ ბეჟიაშვილი, კახა არუნაშვილი, მექანიკოსი –გივი მათიაშვილი.

12 მაისს სწორედ მათი პროფესიული დღე აღინიშნა, ვულოცავთ, გამძლეობას და ამტანობას ვუსურვებთ. გამძლეობა და ამტანობა კი მართლაც სჭირდებათ – მოძველებული ტექნიკის მფლობელთ. ისინი კვლავ უკეთესი მომავლის რწმენისა და სხვათა გასაჭირში დახმარებისათვის მოლოდინის რეჟიმში არიან. ალბათ მომავალ წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარება მათი სამსახური. ამ მოლოდინმა კიდევ ერთი წლით გადაიწია – წელს მათ ახალი სახანძრო ავტომანქანა უნდა მიეღოთ, მაგრამ... ბარემ შინაგან საქმეთა სამინისტრო იზრუნებს მათ საყოფაცხოვრებო თუ სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე, რომელიც მართლაც რომ დაუყოვნებლივ სჭირდებათ მათ...

*თინა ილაური*



## იუბილე- 135

# გარეჯახელი ფალავანი



თითქმის 135 წლის წინ, 1879 წლის 20 მაისს, გლეხ ლაზარე ქურხულს და მღვდლის ასულ ანა ჯაბადარს ვაჟი შეეძინათ. მორწმუნე ანამ შვილს მიხეილი დაარქვა მთავარანგელოზ მიქაელის პატივსაცემად. ბედნიერად იზრდებოდა პატარა მიხა მოსიყვარულე ოჯახში თავის და-ძმებთან ერთად, მაგრამ მალე დაობლდა და დედას გვერდით ვაჟკაცივით დაუდგა.

1898 წელს მიხა ჯარში გაიწვიეს, იქიდან 8 წლის შემდეგ დაბრუნდა. როდესაც ნახა ოჯახის გაჭირვება, სამუშაოდ თბილისში წავიდა და მეკალბასე იაგორას მოჯამაგირედ დაუდგა.

მიხას შვილიშვილი თამაზ ქურხული იხსენებს: „იაგორამ მიხას თავისი მოვალეობა აუხსნა. მას უროს დარტყმით უნდა დაერეტიანებინა ხარი და წაქცეულისთვის ყელი გამოეჭრა. მიხა რქებში წვდა ხარს, კისერი გადაუგრიხა და თავიც უცებ წააცალა. ამის დამნახავმა მეკალბასემ მიხას ურჩია ჭიდაობაში ეცადა ბედი."

ამ დროს თბილისში ჭიდაობა დიდი სპორტული გატაცების საგანი იყო. შეჯიბრებები იმართებოდა „ფიქრის გორაზე", დიდუბეში—„კნიაზების კრუგში", ვერის ხიდთან, ნიკიტინის, ესიკოვსკის და ეფიმოვის ცირკის შენობებში. წარმოდგენას ესწრებოდა უამრავი ადამიანი, მათ შორის თავად-აზნაურობა. მსაჯებად ირჩევდნენ ყველასათვის პატივსაცემ პირებს. საკმარისია დავასახელოთ მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, იურისტი დავით მესხიშვილი, გოგლა (გიორგი) ლეჟავა, ვანო ჩიბალოვი, იგივე „შენ დაუკარ" და მიხეილ ხერხეულიძე. ხალხის ამ ნდობას მსაჯები დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ და პატიოსნად მსაჯობდნენ.

ჭიდაობა ბევრისათვის ფულის შოვნის საშუალებად გადაქცეულიყო. მოგებულს უხდიდნენ 25 მანეთს, წაგებულს–5-ს. მიხამ გაითვალისწინა იაგორას რჩევა და ჭიდაობა დაიწყო.

პირველად იგი ნიკიტინების ცირკში გამოვიდა და იქ დაამარცხა მანამდე ბეჭდაუდებელი ფალავანი, გიორგი ოდიშვილი, მეტსახელად „ჯიბგირი". გიორგიმ სამჯერ გამოიწვია გარეჯელი ფალავანი და სამჯერვე დამარცხდა. ამ გამარჯვებამ ახალბედას დიდი აღიარება მოუტანა. თაყვანისმცემლებმა მას ლექსიც კი მიუძღვნეს:

„აფიშები გამოვიდა
ჭრელ—ჭრული, შავი თალხი,
„ჯიბგირი" გაულახია,
ყველგან ლაპარაკობს ხალხი.
აქებენ მიხა ქურხულსა,
განთქმული ფალავანია,
ვინც ნახა ნაჭიდავები,
სულ მასზე დარჩა თვალია.
ვინც უქეს ყველას ეჭიდა,
ხელი არავის გაუშო,
ვისაც რომ ხელი მოავლო,
ფეხზე არავინ გაუშო..."

მეორედ მიხა გამოითხოვა არა მარტო ქართულ, ასევე კლასიკურ ჭიდაობაში სახელგანთქმულმა იოსებ ცერაძემ. იჭიდავეს ვაკეში მოწყობილ მოედანზე, მიხამ სუფთად გაიმარჯვა.

ამის შემდეგ ცირკის თუ დიდუბის, ვაკის თუ ავლაბრის მოედნებზე, ხუდადოვის ტყეში თუ ფიქრის გორაზე გაიმარჯვა ისეთ სახელგანთქმულ ფალავნებზე, როგორებიც იყვნენ: გიორგი დოთიაშვილი, მამკოდელი- კბილაშვილი, ზემო ავჭალელი—ვასო ბეკურაშვილი, ხაშურელი-ვასო ცალქალამანიძე, მარტყოფელი—გიორგი ბეჟაშვილი, გიორგი ქოქაშვილი, ნადირაძე და მრავალი სხვა.

1907 წლის 10 ივლისს გაზეთი „ისარი" აცხადებდა: „დაბა ჭიათურაში 10 და 11 ივლისს კავკასიის უძლეველი ფალავნის ნესტორ ესებუას თაოსნობით, გაიმართება დიდი საინტერესო ქართული ჭიდაობა. იჭიდავებენ მიხა ქურხული და კ. არჯევანიძე."

მიხამ არჯევანიძე მოხდენილი კისრულით გააკრა ბეჭებზე და მაყურებელთა ოვაცია დაიმსახურა.

იმავე წლის 2 სექტემბერს კიდევ ერთი გამარჯვება მიიწერა ხაშურელ ილიკო ლაბაძესთან.

დასავლეთ საქართველოში მიხამ არაერთი ორთაბრძოლა მოიგო. მას აქ არც ერთი დამარცხება არ ჰქონია. ამ მოგზაურობის დროს ქუთაისში დახვდა ცერაძე, ხოლო ზუგდიდში „ჯიბგირი". ორივემ ხელახლა გამოიწვიეს და კვლავ ორივეზე სუფთად გაიმარჯვა. „ჯიბგირის" და მიხას ეს მესამე შეხვედრა იყო. „ჯიბგირს" უთქვამს: „ხო ამიღე და ამიღე, მე შენ აღარ გეჭიდავები."

მიხამ გამოიწვია სახელგანთქმული ფალავანი შაშო ვერელი, იგივე ალექსანდრე კახნიაშვილი. პირველი შერკინების დროს გაუგებრობა მოხდა. მსაჯების არაობიექტური გადაწყვეტილებით შაშო ვერელი გამოაცხადეს გამარჯვებულად. მიხამ ხელმეორედ გამოითხოვა და თავდაუზოგავად შეებნენ ერთმანეთს. შაშო ვერელს ლავიწის ძვალი გაუტყდა და დამარცხდა. ამის მერე ერთმანეთს ხალიჩაზე აღარ შეხვედრიან, თუმცა მეგობრობდნენ.

ამ გამარჯვების შემდეგ ის შეერკინა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფალავანს—ვანო მედელაურს. **გარეჯელმა ფალავანმა შუაკაურით წამოიღო, სუფთად დასცა...** მაგრამ, მოხდა სამწუხარო ამბავიც—ვანო ფეხმოტეხილი გაიყვანეს მუშტაიდის საჭიდაო მოედნიდან.

ცნობილმა გოლიათმა **სანდრო კანდელაკმა 1000 მანეთიანი სანაძლეო დადო მიხასთან, რომ 5 წუთსაც ვერ გაუძლებდა.** იჭიდავეს, დათქმულ დროში სანდრომ ვერ სძლია, 2 წუთი კიდევ ითხოვა და კინაღამ სუფთად წააგო. მიხამ სანაძლეო მოიგო. ეს იყო ქურხულისა და კანდელაკის ერთადერთი შეხვედრა.

1909 წელს გორში ჩავიდნენ რუსი „ბაგატირები" ბრუსიკის მეთაურობით. გორელებმა მიხა მიიწვიეს „თუ გვიხსნი შენ, თუ არა და შევრცხვით". მან ეს მიპატიჟება მიიღო და ორი კვირის განმავლობაში სუფთად გაიმარჯვა სახელგანთქმულ ფალავნებზე: ლიტვინოვი, ივანოვი, ზაგორიუკი, ნიკო ტურიაშვილი, (ამ ჯგუფის ერთადერთი ქართველი). სულ ბოლოს ეჭიდავა ტიტანური ძალის მქონე ბრუსიკს, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ შოუებში გრეხდა რკინიგზის რელსებს, რითაც დამსწრე საზოგადოებას შოკში აგდებდა. **მიხამ პირველ დღეს ორჯერ გააკრა ხალიჩაზე ბეჭებით რკინიგზის რელსების დამგრეხავი,** მაგრამ ბრუსიკს დანებება არ უნდოდა და მეორე დღესაც გამოითხოვა. ქართველმა ამჯერად სამჯერ დასცა ბეჭებზე მოწინააღმდეგე. ბრუსიკმა ქართული ჩოხა გადააგდო „მე ქართულ ჭიდაობაში აღარავისთან აღარ გავალო".

ასეთი დიდი წარმატებებისთვის **გორელებმა გარეჯელს აჩუქეს ბაჯაღლო ოქროს მედალი წარწერით: „უძლეველ ფალავანს მიხა ქურხულს–ჭიდაობის მოყვარულებისაგან".**

საგულისხმოა ერთი ასეთი ფაქტი: მთელ კახეთში უძლეველი ფალავანი „ნანოს ბიჭი ლევენა" (გვარი უცნობია) შეერკინა მიხას, მაგრამ სუფთად წააგო. ლამის იტირა, ისე ეწყინა, მაგრამ მიხას ხელი ჩამოართვა და შესანიშნავი სიტყვა უთხრა: **„შე ღმერთძაღლო, ძუძუ მეც მიჭამია, მაგრამ შენ რკინა გაქვს ნაღეჭი".**

მიხას დამარცხების სურვილით სიღნაღიდან ჩამოვიდა ვანო ხარაზიშვილი. ის იქადდა – უთუოდ მოვცელავო, მაგრამ ნახა რა მისი ჭიდაობა, უკანვე გაბრუნდა.

1912–13 წლებში თბილისს ეწვია კლასიკურ მოჭიდავეთა ჯგუფი კლემენტი ბულის მეთაურობით. რადგან ქართულ ჭიდაობას უფრო ბევრი გულშემატკივრობდა, ვიდრე კლასიკურს, ბულმა თავის ფალავნებს ქართული ჭიდაობაც შეასწავლა და გამოითხოვა ყველა ქართველი ფალავანი. მას ერთ—ერთი პირველი მიხა ქურხული გამოეხმაურა, რომელმაც ზედი—ზედ მოიგო ისეთ სახელგანთქმულ მოჭიდავეებთან, როგორებიც იყვნენ: სიმიაკინი, „ჩორნი ვორონი", „მალი", „სტუდენტი". ყველასთან სუფთად გაიმარჯვა, **მხოლოდ ბულთან ორთაბრძოლაში დამარცხდა. ეს ერთადერთი დამარცხებაა, რომელიც მიხას ახსოვს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე** და მას თვლიდა ნამდვილ და ღირსეულ დამარცხებადაც. შემდეგ ბულმა ასევე სუფთად დაამარცხა სანდრო კანდელაკიც, მხოლოდ ფრანგულ, იგივე კლასიკურ ჭიდაობაში.

ნიკიტინების ცირკში მიხა შეხვდა წაუქცეველ ფალავანს „ჩორნაია მასკას". დაამარცხა რა იგი, ნიღაბი ჩამოხსნა. ის აღმოჩნდა ცხინვალელი ლუკა დადიანიძე, მანამადე მას უნიღბოდ უჭიდავია სანდრო კანდელაკთან. ეს ორთაბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ვერავინ ვერ იგებდა. ბოლოს მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ ორთავჯანში გასულიყვნენ(ფრე).

მთელ მსოფლიოში აღიარებული და უძლეველი კოსტია მაისურაძე მიხა ქურხულმა 5-ჯერ გამოითხოვა ქართულ ჭიდაობაში, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო, რატომ და რისთვის, ამის ახსნა მიხასაც უჭირდა.

1923 წელს, ვერის ხიდთან არსებულ ცირკის შენობაში, ხანდაზმული(44 წლის) **მიხა შეერკინა მართლაც რომ გოლიათთა შორის გოლიათს კოლია ქვარიანს და სუფთად მოუგო.**

მიხას ყველა აღიარებდა უძლეველ ფალავნად, **48 წლის ასაკში ის შეერკინა 22 წლის ვანო წამალაშვილს – იგივე ვანო გლდანელი.** ამ ორთაბროლაში დამარცხდა გარეჯელი ფალავანი.

ყველაფერი ამის მიუხედავად, 9 დედმამიშვილის შთამომავლობიდან არავინ ისურვა ამ საქმიანობისთვის მიეყო ხელი. თამაზ ქურხული იხსენებს: „ჭიდაობაზე ჩემი სურვილით მივედი. ეს რომ პაპამ გაიგო, მითხრა: **ჯანი რას უნდა შეაჭამო, ვერ ხედავ შავი პურიც სანატრელი გამიხდაო".**

მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებს იხსენებს საგარეჯოში ყველასათვის კარგად ცნობილი ილია(ილუშა) ქვლივიძე-კაცი ენციკლოპედიური განათლებითა და საინტერესო სპორტული წარსულით: „მე მიხა მოხუცებული მახსოვს, ჯოხზე დაყრდნობილი რომ გამოვიდოდა გარეთ, როგორც მოჭიდავეს, მსურდა მისგან მის წარსულზე რამის მოსმენა, მაგრამ ყოველთვის მოკრძალებულად თავს არიდებდა".

და მაინც რა დაგვიტოვა მიხა ქურხულმა?

**– თითქმის 25 წლის მანძილზე ის იყო ეროვნული სპორტის ულამაზესი სახეობის- ქართული ჭიდაობის პოპულიზატორი. ის იცავდა ამ სპორტის ყველა წეს-ჩვეულებას.**

*ანნა ქურხული,*

***საგარეჯოსა I საჯარო სკოლის მოსწავლე***

**17 მაისს საგარეჯოს სპორტდარბაზში გაიმართება მიხეილ ქურხულის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ვეტერანი მოჭიდავეები.**

## გურამ გოგოლაური – 70

## ძიუდოს ქართული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი

მსოფლიოში აღიარებული ფალავანი გურამ გოგოლაური ამ დღეებში 70 წლის შესრულდა. მანაველი ზაქარია გოგოლაურისა და მარიამ თამაზაშვილის მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი ვაჟი, აქ, მანავში გამართულ კალობნობასა და სხვა სახალხო დღესასწაულებზე ეზიარა ქართული ჭიდაობის მადლსა და საიდუმლო გზებს, რამაც შემდგომში დიდ სპორტში შეადგმევინა ფეხი.

1970-იანი წლებისათვის მწვრთნელ ბიძინა მაზიაშვილის აღსაზრდელი უკვე საქართველოს ძიუდოს ნაკრების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერია, თავად ეს ნაკრები კი საუკეთესოთა შორის საუკეთესო და ანგარიშგასაწევი ძალა იყო მთელ იმჟამინდელ საბჭოთა კავშირში. ამ ნაკრების წევრებთან ერთად ჩვენებურმა ფალავანმა, რომელიც ძირითადად 80 კგ. წონით კატეგორიაში ჭიდაობდა, არაერთ გამარჯვებას მიაღწია ევროპისა და სსრკ-ს პირველობებზე. იგი გახლავთ ევროპის სამგზის (1972,



1973, 1974 წ.) ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ორგზის მეორე (1971, 1972 წწ.) და მესამე (1973 წ.) პრიზიორი პირად ჩათვლაში. 1972 წელს მონაწილეობდა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც შეძლო V ადგილის დაკავება.

გურამ გოგოლაური ასევე, გახლავთ სსრკ 1974 წლის ჩემპიონატების მეორე და 1973 წლის პირველობის მესამე პრიზიორი, სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი სამბოში (1971 წ). მინიჭებული აქვს სსრკ სპორტის დამსახურებული წოდება.

ჩვენ, მან ქართველ გულშემატკივრებს თავი დაგვამახსოვრებინა, როგორც შემტევმა, მოძრავმა და დაუღალავმა ფალავანმა.

*გივი დაბახიშვილი*

## კიკბოქსინგი

## სპორტი

# პირველობა მუღანლოში

აპრილის ბოლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ეზოში შერეული ორთაბრძოლების კლუბ „იაგუარის" ბაზაზე აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" ორგანიზებით ჩატარდა პირველობა კიკბოქსინგში, რომელშიც აღნიშნული კლუბის აღსაზრდელებთან ერთად მონაწილეობდნენ სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებისა და აზერბაიჯანის ყაზახის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. პირველობა სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა და სხვადასხვა წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ ელიშახ ათრავოვი (20კგ. აზერბაიჯანი), თუნჯაი ხუბანოვი (25 კგ, საგარეჯო), ხვთისო ხელაშვილი (27კგ, სიღნაღი), ჯაფარ ჯამალოვი (30კგ. საგარეჯო), ისმაილ ხალაფოვი (35კგ, საგარეჯო), ელმარ ჯაფაროვი (37კგ, საგარეჯო), დავით ტერაშვილი (40 კგ, სიღნაღი), გიორგი კაკაშვილი (45კგ სიღნაღი), ფეიმან გაჯიევი (40კგ, საგარეჯო), გიორგი მაისურაძე (57კგ, სიღნაღი), მიშა კიკილაშვილი (57კგ, სიღნაღი), მუსა საფაროვი (59 კგ, საგარეჯო), არაზ ხალაფოვი (30კგ, საგარეჯო), ელიშან ათრავოვი (მძიმე წონა, აზერბაიჯანი).

„იაგუარის" აღსაზრდელთაგან თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებსა და წონებში მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ჯამალ კულიევი, ჯოშგუნ ალიევი, ისმაილ ხალაფოვი, არაზ საფაროვი, იბადად ჯამალოვი, არაზ ნაბიევი, ნურლან ალიევი, ალი ალიევი, ხაიამ მამედოვი.

ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: იუსუპ ჯამალოვი, ფახრი მამედოვი, ქამილ ნაბიევი, ქამილ მირზოევი.

***პირველობაში გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექციის შესაბამისი მედლები და სიგელები. პირველობას სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობასთან ერთად ესწრებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე.***

*გ. დაბახიშვილი*

მართლმადიდებლობა

# უშვილოთა და ყრმათა სასწაულმოქმედი მფარველი- სარკის წმინდა გიორგი

უამრავი სიწმინდე გაგვაჩნია-თავად ჩვენი ქვეყანაც ხომ უდიდესი სიწმინდეა, ღვთისაგან ბოძებული და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილი. არც სასწაულმოქმედი ხატების სიმცირეს ვუჩივით.

ეკლესია, რომელშიც სარკის წმინდა გიორგის ხატია დაბრძანებული, ქარელის რაიონში მდებარეობს. ეკლესიასაც და ხატსაც თავისი საოცარი ლეგენდის შარავანდედი ჰმოსავს: გადმოცემით, ქარელის რაიონის სოფელ საღოლაშენთან მდებარე ადგილს "დასასრულს" უწოდებდნენ, რაც წმინდა, ხელშეუხებელ ადგილს ნიშნავდა – ამ ადგილს არც ხნავდნენ, არც თესავდნენ. ხელშეუხებლობის ნიშნად კი მდელოს ხნულის შემოვლებით სარყავდნენ. ერთ-ერთი შემოსარყვის დროს გუთნისდედას ჩასძინებია და საკვირველი ჩვენება უნახავს, მაგრამ გამოღვიძებულს არავისთვის უთქვამს, მხოლოდ ჩუმად დალოდებია ნიშნის მიცემას. მართლაც, უღლეული შემდგარა და ხარები ადგილიდან ვერ დაუძრავთ. გამწარებულ მეხრეს შოლტი გადაურტყამს მათთვის და ლანძღვა დაუწყია. მეყვსეულად ძირს დაცემულა და სულიც განუტევებია, ხოლო ხნულიდან დიდმოწამე გიორგის ქვაში ნაკვეთ ხატს გამოუნათებია. ეს ხატი, ჩვენების ნების თანახმად, გაუხედნავ ხარებზე დაუდვიათ და გაუშვიათ. სადაც ხარები გაჩერდებოდნენ, იქ უნდა აეგოთ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. თრიალეთის ქედისაკენ მიმავალმა ხარებმა მხოლოდ ერთგან შეისვენეს მცირე ხნით, შემდეგ კი კვლავ განაგრძეს გზა. ბოლოს ხარები არაქათგამოცლილნი დაწოლილან. სწორედ აქ ააგო რამდენიმე მონაზონმა მონასტერი, რომლიც დღეს სარკის (სარყის) წმინდა გიორგის მონასტრად იწოდება.

სარკის წმინდა გიორგი განსაკუთრებით უშვილოთა შემწეა, ჩვილთა მფარველი. ძველ დროში მომხდარ სასწაულებს თუ ლეგენდის საბურველი ჰბურავს, არც ჩვენს დროში მომხდარი სასწაულების სიმცირეს უჩივის – დღესაც ნახავთ უამრავ წყვილს, რომელთაც ამ ხატის მოლოცვის შემდეგ შეეძინათ შვილი. მადლიერების ნიშნად ეს ოჯახები ეკლესიას აკვნებს სწირავდნენ და წლების წინაც ეკლესიის გარშემო, თურმე, უამრავი აკვანი იდგა. ყოფილა შემთხვევა, რომ ურმით მის კარამდე მიყვანილი დავრდომილი თავისი ფეხით შესულა მონასტრის ეზოში.

ყრმათა მფარველი და უმწეოთა შემწე წმინდა გიორგი ფარავდეს ყველა ბავშვსა და გაჭირვებულს!

ჩვენი მიწა-წყალი

# ნასოფლარი ბალბიანი

გასცდებით თუ არა სართიჭალიდან კრასნაგორკისკენ მიმავალი გზის პირას, მდინარე იორის მარჯვენა მხარეს, ჩამწკრივებულ კოტეჯებს გაუსწორებ თვალს. ეს შენობები ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ადმინისტრაციის სამმართველომააშენა. ერთხანს აქ მოთავსებული იყო როგორც სარწყავი ქსელის, ისე უდაბნოს გაწყლიანების ადმინისტრაცია, ხოლო ამ შენობების გვერდით მდინარე იორის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს ისტორიული სოფლის ბალბიანის ნასოფლარი. როგორც ყოველ ქართულ ნასოფლარს, ამ ბედკრულ ქართულ ნასოფლარსაც თავისი მოკრძალებული ისტორია აქვს.



ვერავინ იტყვის როდის დაარსდა ეს ქართული სოფელი. ქართულ ფოლიანტებს არ შემოუნახავთ მისი სახელი, ხოლო, რაც მოვიძიეთ, ისიც იძლევა ძუნწ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა გადახდა ამ სოფელს.

როგორც არსებული დოკუმენტები იუწყებიან,ბალბიანს XVI საუკუნის ბოლომდე უარსებია მდინარე ივრის მარჯვენა სანაპიროზე ნაყოფიერ ჭალებში არსებულ სოფლებთან ერთად,მაგრამ ირანის სისხლიანი მბრძანებლის შაჰ-აბას I-ის ყიზილბაშებს პირწმინდად გაუძარცვავთ, გადაუწვავთ და ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობა შორეულ ირანში გადაუსახლებიათ, ხოლო მათ ნასოფლარებზე მუსულმანი თურქმანები დაუსახლებიათ. თუმცა ქართველ შურისმაძიებლებს 1659 წლის კახეთის მრისხანე აჯანყების შემდეგ მთელი მდინარე იორის სანაპიროებიდან პირწმინდად აუყრიათ და შუა აზიაში გადაუსახლებიათ ეს ველური, მომთაბარე ტომები.

სოფელი ბალბიანი ერთხანს ისევ აღორძინებულა და ქართული მოსახლეობით შევსებულა, მაგრამ 1729 წელს ივრისპირეთის სოფლებს კვლავ ოსმალო თურქები დაეპატრონნენ და მთელი ივრისპირეთი თავის სათარეშოდ გაიხადეს. სწორედ მაშინ დაუდგათ "შავი დღე" ბალბიანელებსაც, სართიჭალასაც და ივრისპირეთის სხვა სოფლებსაც. ამის შემდეგ ნასოფლარად იქცა სართიჭალაც. აზამბურიც და ბალბიანიც, რის შემდეგ ბალბიანი აღარ აღმდგარა. იგი გაუდაბურდა.

ისტორიკოს თედო ჟორდანიას რედაქტორობით გამომავალ "ქრონიკების" III წიგნში ასეთი სიტყვები ამოვიკითხეთ: "... იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარ ხარიტონს, მღვდელ-მონაზონ სვიმონს და ბესარიონს და ყოველი კრებულს, საზრდოსა და მამულის წყალობის თხოვნით კახეთის მეფე დავით იმამყულისათვის მიუმართავთ, რომელსაც ვინაიდან ნაშენი სოფელი აღარსად ჰქონია ეს უშენი ნასოფლარი უწყალობებია ბერებისთვის..." ("ქრონიკები" III წიგნი გვ. 34-35)

მომდევნო წლებში ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს ხარიტონს ბალბიანში თავისი ყმები დაუსახლებია, მაგრამ "ლეკიანობის" წლებში ეს ყმები ახლა დაღესტნელ აბრაგებს ტყვედ წაუსხამს ისე, რომ ბალბიანს აღორძინება აღარ ღირსებია და იქ პატარძეულელ გლეხებს ბაღ-ბოსტნები გაუშენებიათ.

ბალბიანს საბჭოთა ხელისუფლების წლებში , 1924 წელს, საბჭოთა "ჩეკას" თავის მსხვერპლთა "ძმათა სასაფლაოდ" გადაუქცევია. ბალბიანს გვერდით ჩამოუდის მშრალი ღელე "ძეძვიანხევი", სადაც 1924 წელს ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილე პატრიოტთა გაუსამართლებლად დახვრეტილ მსხვერპლთა გვამებს ასაფლავებდნენ ჩუმად, ღამ-ღამობით. აქ ყოველგვარი ნიშნების გარეშე დასაფლავებულია ასეულობით პატრიოტი.

1980-იან წლებში რაიონულ გაზეთ "ივრის განთიადში" დაიბეჭდა ჩემი ჟურნალისტური გამოკვლევა " სიკვდილშიც დევნილი", სადაც დავაყენე საკითხი მათი ხსოვნის აღსანიშნავად მემორიალური დაფა აღმართულიყო, მაგრამ ამ ნარკვევს არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ნასოფლარი "ბალბიანი" ახლაც ნასოფლარია და მისი პატრონი არავინაა.

*ალექსანდრე ელერდაშვილი,*
***ვეტერანი ჟურნალისტი, სწავლული ისტორიკოსი***

ღვთის სასჯელი

# კიევში სწორედ იმ ადგილზე, სადაც სატანისტებმა უწინ ჯვარი შეურაცხყვეს, ასობით ადამიანი დაიღუპა



**"ფემინას"** აქტივისტებმა 2012 წლის აგვისტოში ელექტრო ხერხით გადახერხეს და დაამხეს კიევის ცენტრში ქრისტეს ჯვარი. ეს ჯვარი აღმართული იყო ბორცვზე, რომელიც მაიდანს გადმოჰყურებს. ასე გამოხატეს "ფემინას" წევრებმა პროტესტი Pussy Riot-ის აქტივისტების დასჯასთან დაკავშირებით . ეს არაა მხოლოდ ვანდალიზმი, არამედ სატანიზმიც იყო. ამათი სახით თავი იჩინეს ბოროტმა სულებმა. ჯვრები გაანადგურეს, მაგრამ შედეგად რა მიიღეს? – მაიდანზე ასობით გვამი.

სწორედ ფემინას წევრებმა დაგეგმეს თავიანთი საქციელით ეს სატანისტური შაბაში. ამ მთას "მელოტი მთა" ეწოდება და ის მართლაც მელოტია, რადგან მასზე აღარ არის ჯვარი.

აზრი-რეალობა

# ქალი, სიყვარულის ხორცშესხმული ფორმულა–გამოსახულებაა

**იგი** რომ არ შეექმნა ღმერთს, რანაირად უნდა დაგვენახა თვალდათვალ, თუ რა იყო სიყვარული. "ღმერთი სიყვარული არს", ნათქვამია და სხვანაირად ვერ გავიგებდით თუ რა იყო და რა არის სიყვარული. სიტყვა სიყვარულის განმარტებიდან "ყვა – რ – ული", სადაც "რ" მზეა ანუ ნათელი ღვთიური, რომელიც ჰყავს ანუ დაჰყვება ქალს დაბადებიდან. ცხადია, რომ მას აქვს ღვთიური რაღაც ნაწილი ნათლისა, რომელიც შეხედვისთანავე წარმოშობს სიყვარულის გრძნობას. მრავლისმეტყველია ალბათ ის, რომ ქალი წარმოქმნა ღმერთმა ადამის ნეკნიდან, ალბათ ულამაზესი ნეკნიდან და რომელი მხარის ნეკნია, დღესაც არ იცის კაცობრიობამ. თუმცა ქართული შეხედულებით, ადამის მარცხენა გვერდი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მამაკაცს ქალი მარცხენა მხრიდან მიჰყვება. მარჯვენა – დამხვედრია მტრისა. მტერი ბევრი ჰყავდა და ჰყავს ქალს, შინაური თუ გარეული.

ნეკნს, ძველ ქართულად, ეწოდება „ფერცხალი". მეტად ტევადი შინაარსის მქონე სიტყვაა, რომლის არსში წვდომა არ არის ადვილი,ისევე როგორც ქალის არსში წვდომაა შეუძლებელი, რადგან ძალიან სიღრმისეული და დაბურვილია იგი, ვითარცა "არ ნათლად ნათელი" – რუსთველის მიხედვით. სიტყვა „ფერცხალი" რთული შედგენილი სიტყვა უნდა იყოს, რაზეც მეტყველებს,ის, რომ მსგავსი სიტყვები მოიპოვება ისეთი, როგორიცაა მაგალითად: ცო-ცხალი, სადაც დასაწყისიდან აიღო ადამმა მარცვალი "ცო", მეორე ნაწილიდან - "ლ" და უწოდა "ცოლ". ამით მან გამოხატა სიცოცხლის შემოკლებული სახელი. მოიპოვება მეორე სიტყვაც: "მე-რცხალი", რომელიც სიტყვა "ფე-რცხალი"-საგან მხოლოდ ერთი ასონიშნით (ანბანისა) განსხვავდება. მერცხალი – გაზაფხულის, ანუ ბუნების სიცოცხლის დასაწყისად მოიაზრება. თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში მარცვალი – "ფე",



ძნელი გასაგებია, ალბათ დიდი ხნის დავიწყების გამო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "ფე" რიცხვებით ცალკ-ცალკე არსებობის დროს, იქნება 23 და 5. ანუ ბ-გ-ე, ანუ ბაგ(ა)-ე. ესე იგი – ბაგე. და, რადგან შემდგომი "რ" არის, იქნება – ბაგე მზისა. რიცხვების 23 და 5 მთლიანობაში განხილვისას იქნება 200 და 35. ესე იგი სიტყვა: "სა-ჯა", რომელიც ორმაგად შეიძლება იქნეს გაგებული: როგორც დასაჯა, როგორც განსჯა. ესე იგი როგორც განხილვა... და, რადგან თავსართები არ გვაქვს, იგი უნდა მოიაზრებოდეს როგორც განხილვა, ანუ ხილვა შემდგომი ასო-ნიშნისა – "რ" ანუ მზისა. აქ მოყვანილი ყოველი მაგალითიდან ცხადია, რომ ფერცხალი, ანუ ქალი – არის მზიური, ანუ ღვთიური ნათელის გამოხატულება – სიყვარულის გამოხატულება და მისდამი უპატივცემულო დამოკიდებულება, წარმოუდგენელი უბედურებაა. ეს ყველაფერი საუცხოოდ იცოდნენ ძველმა ქართველმა ვაჟკაცებმა და ამიტომ იყო საქართველოში ქალის თაყვანისცემა უმაღლეს დონეზე აყვანილი, რასაც ვერაფრით მივუსადაგებთ თანამედროვე ვითარებას, თუმცა ეს მარტო მამაკაცების ბრალი არ უნდა იყოს.

*მერაბ ცინცაძე*

სიგნალის კვალდაკვალ

# საგანგაშო არაფერია

**საქართველოს** სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტების მიერ მოსახლეობიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე (რომელიც შეეხებოდა საშემოდგომო ნათესების საგაზაფხულოდ არასრულყოფილ განვითარებას) დავათვალიერეთ მუნიციპალიტეტში არსებული საშემოდგომო ნათესები, საიდანაც აღებული იქნა ნიმუშები ლაბორატორიული გამოკვლევების ჩასატარებლად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ყანებში აღინიშნა სიშავის გამომწვევი სოკოები, აგრეთვე ჰელმინთოსპოროზის გამომწვევი სოკო.

ნიმუშში, როგორც ასეთი, მავნებლები, კერძოდ, ბუგრი არ დაფიქსირდა.

ფერმერებს მიეცათ რეკომენდაცია ნათესების შესაბამისი ფუნგიციდებით დამუშავების შესახებ.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური*

## მილოცვა



**სრულიად** საქართველოს ჭეშმარიტად ქრისტიანულ დიდ დღესასწაულს „გიორგობას“ ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექტორს **გიორგი (გია) მაისურაძეს.** არასოდეს მოჰკლებოდეს საქართველოსა და ქართველ მართლმადიდებელთა მფარველის – წმინდა გიორგის შემწეობა, დიდებულ წმინდანს ხელი მოემართოს მისთვის იმ კეთილ და მამულიშვილურ საქმეებში, რასაც იგი ქართული სპორტის აღორძინებისა და განვითარებისათვის აკეთებს.

ღმერთმა და წმინდა გიორგიმ გიმრავლოთ გარეჯელი სპორტსმენები.

*აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების თანამშრომლები, სპორტსმენები.*

---

**თამარობის** დღესასწაულს ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს, თავისი საქმის უზადო მცოდნესა და ერთგულს **თამარ მელაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავის კარგ და სანაქებო ოჯახთან ერთად.

*აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები*



# 9 მაისი— ფაშიზმზე გამარჯვების დღე!

## საგარეჯოში ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავი აღინიშნა



9 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავი აღინიშნა.

1945 წლის 9 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გაიმართა ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავი სამხედრო აღლუმი და 9 მაისი დღესასწაულად გამოცხადდა, უქმე დღედ კი 1965 წლის 26 აპრილს.

ქართველ ხალხს ამჯერადაც არ უღალატია მამა-პაპათა ანდერძისათვის და ქუდზე კაცი გამოიყვანა ქვეყნის გადარჩენისათვის. 700 ათასი ქართველი, რომელთა შორის 16 ათასი მანდილოსანი იყო, ჩადგა მებრძოლთა რიგებში. მეორე მსოფლიო ომში პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი დაიღუპა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, გამგეობის სოციალური სამსახურის თანამშრომლები, კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბესიკ ღვინაშვილი ამ დღეს სამამულო ომის მონაწილეებს მასპინძლობდნენ.

მათ გვირგვინებით შეამკეს საგარეჯოში და სოფ. პატარძეულში ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდების მემორიალი, სოფ. პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ომის მონაწილეებს ლექსები წაუკითხეს, ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლ „მარიტა“ -ს მოცეკვავეებმა ვეტერანებს ცეკვა მიუძღვნეს, პატარძეულის სკოლასთან არსებულმა ხალხური სიმღერების გუნდმა პატრიოტულ თემაზე პოპური შეასრულეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს ფულადი ჯილდოები გადასცა.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

---

### იქნებ შველა მართლაც არის?!

# ხილი, რომელიც სიმსივნეს კურნავს

ლაპარაკია ხილზე, რომელიც მართლა კურნავს სიმსივნეს და მისი მოქმედება 10 000-ჯერ უფრო ძლიერია ქიმიოთერაპიაზე. საუბარია **დედამიწაზე ყველაზე უფრო ძლიერ ანტიკანცეროგენზე. მისი სახელწოდებაა გუანაბანა**. ეს არის ხე გრავიოლას ნაყოფი. იგი არის სასწაული პროდუქტი, რომელიც სპობს კიბოს უჯრედებს და რატომ არაფერი გვსმენია მის შესახებ?



ახლა შესაძლებლობა გვეძლევა გავაგებინოთ გაჭირვებულ ადამიანებს, რომ გუანაბანას წვენი არის ამ საშინელი დაავადების პრევენცია. მას შესანიშნავი გემო აქვს, თანაც არ აქვს არანაირი უკუჩვენება, ქიმიოთერაპიის საშინელი შედეგებისგან განსხვავებით. თქვენ შეგიძლიათ დარგოთ ეს ხე თქვენს ეზოში. მისი ყველა ნაწილი სასარგებლოა. როდესაც რაიმე წვენის დალევა მოგინდებათ, გუანაბანას წვენი მოითხოვეთ. რამდენი ადამიანი დაიღუპა იმ დროის განმავლობაში, სანამ ეს ინფორმაცია საიდუმლოდ ინახებოდა?! მხოლოდ და მხოლოდ ვილაცის მზაკვარი ანგარებიანი კორპორაციების მიზეზით.



გუანაბანას ხე არ იკავებს დიდ ადგილს. მას ბრაზილიაში გრავიოლას უწოდებენ. ლათინურ ამერიკაში გუანაბანას, ხოლო ინგლისურენოვანი ხალხი უწოდებს SOURSOP –ს. მას აქვს დიდი ნაყოფები, თეთრი რბილობით, ტკბილი გემოთი, მიიღება ასევე წვენის და ტკბილეულის სახით. მას აქვს მრავალნაირი ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე, რომელთაგან ყველაზე მთავარი მაინც ანტისიმსივნური მოქმედებაა, ამასთან კურნავს კიბოს ნებისმიერ სახეობას. ეს მრავალგზის არის დამტკიცებული. ასევე თვლიან, რომ იგი არის ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი, პარალელურად გააჩნია ანტისოკოვანი და ანტიპარაზიტული თვისებები; არეგულირებს სისხლის მიმოქცევას, ანტიდეპრესანტია და ნერვული მოშლილობისას ეხმარება ადამიანს.

1970 წლიდან წარმოებულმა 20-ზე მეტმა ლაბორატორიულმა კვლევამ დაამტკიცა, რომ ეს ექსტრაქტი ანადგურებს 12 ტიპის ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედებს, მათ შორის **მსხვილი ნაწლავის, სარძევე ჯირკვლის, პროსტატის, ფილტვის და კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებს.** ყველაზე საოცარი კი არის ის, რომ გრავიოლას, იგივე გუანაბანას ნაყოფი **სპობს მხოლოდ კიბოს უჯრედებს** და არ ვნებს ჯანმრთელ უჯრედებს.

ხილი შემოდის საქართველოში მხოლოდ შეკვეთით და დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიაკითხონ ეგზოტიკური ხილით მოვაჭრეებს ვაგზლის მოედანზე და მისცენ მათ შეკვეთა.

*ჟურნალი “ქვაკუთხედი”*

---

## გამოსათხოვარი

### ვანო მეკოკიშვილი



88 წლის ასაკში მძიმე დაავადების შედეგად გარდაიცვალა საგარეჯოს კოლორიტი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება ვანო მეკოკიშვილი.

დაიბადა 1926 წელს სოფელ გიორგიწმინდაში. საგარეჯოს I საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმში თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელად. ბათუმიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქალაქ საგარეჯოში გადმოინაცვლა და აქ დაიწყო თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელობა. მის სახელს ეკუთვნის საგარეჯოში თავისუფალი ჭიდაობის აღორძინება. მან აღზარდა თავისუფალ ჭიდაობაში მთელი პლეადა. მათ შორის: ლევან თედიაშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, თენგიზ ასლამაზიშვილი, ძმები თამაზ და ბიძინა კევლიშვილები, ბიჭიკო მარიდაშვილი და ბევრი სხვა.

ვანო (ვალიკო) მეკოკიშვილი უებრო მოსაუბრე, სწორუპოვარი თამადა, ქართული სიტყვის მოტრფიალე და ყოველივე ქართული, ვაჟკაცური თვისებებით შემკული თავისივე “შეგირდების” იდეალი იყო.

*აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები*

---

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანება“ ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის, ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის

**ივანე (ვალიკო) მეკოკიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს სონიკო და სოსო ბაღდადაშვილებს დედამთილისა და დედის

**თინა ბერუაშვილი-ბაღდადაშვილის**

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru